პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით
წელიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. № 4. მე-3 სართული
მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადება—50 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონ. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

№ 59 პარასკევი, 16 მარტი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10 000 მან. № 59

დღიური

ამხ. ჩიჩერინი: ნოტა მემელის საკითხის შესახებ.
უკრაინის ნოტა: აღმოსავლეთ გალიციის საკითხის შესახებ.
ინგლისში: ირლანდიელ რესპუბლიკანელების [illegible]
ახლო აღმოსავლეთში: ოსმალეთის კონტრწინადადებები. მ[illegible]წის მუშათა საზოგადოება, საბერძნეთის [illegible]
ჩინეთში: კაბინეტის კრიზისი, ჩინეთის მოთხოვნილება პორტ-არტურის დაბრუნების შესახებ.
სპარსეთში: ანგლოფილების დამარცხება.

პარასკევს, 16 მარტს

ერთიან პარტიულ დღეს

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა დღის წესრიგში დასვათ საკითხი: პარიზის კომუნის 52 წლის თავი.

ტფილისის კომიტეტის მდივანი **მიხ. კახიანი.**

„ახალგაზრდა უმუშევრის კვირეული“.

ს. ა. კ. კ. და ს. კ. პ. თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის, გორის, ფოთის, თელავის და სიღნაღის საოლქო და სამაზრო კომიტეტებს. პროფკავშირების საბჭოებს, პროფკავშირების სამაზრო ბიუროებს და ს. პ. კ. ს. რწმუნებულებს.

ძვირფასო ამხანაგებო.

უმუშევარ ახალგაზრდობის რიცხვი საქართველოში 3.000 აღწევს ბევრი მათგანის მდგომარეობა ძალიან ცუდია; ეს ახალგაზრდობა წვრილ ბურჟუაზიული სტიქიის გავლენის ქვეშ ვარდება.

რადგან მუშათა კლასის მოზარდ თაობას დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცხოვრებაში, საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება ახალგაზრდათა შორის უმუშევრობის აღმოსაფხვრელათ.

ამისათვის 24 მარტიდან პირველ აპრილამდე საქართველოს ყველა ქალაქებში ტარდება „ახალგაზრდა უმუშევრის კვირეული“, რომლის მიზანია გამოიწვიოს მშრომელთა ფართო მასების ყურადღება უმუშევარ მუშათა ახალგაზრდობისადმი და შეაგროვოს მატერიალური სახსარი სახლების და სახელოსნოების მოსაწყობათ, სადაც მოთავსებული იქნება უმუშევარი ახალგაზრდობა.

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსებულია კომისია ამხ. **მიხა ცხაკაიას** თავმჯდომარეობით აღნიშნულ კვირეულის ჩასატარებლათ. კომისიის შემადგენლობაში შედიან: ს. კ. პ. ცეკას, ს. პ. კ. ს., ს. ა. კ. კ. ცეკას, შრომის სახალხო კომისარიატის და განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები.

ადგილებმა უნდა მიიღონ მხურვალე მონაწილეობა ამ კვირეულის ჩატარებაში და გამოიჩინონ მაქსიმალური ყურადღება, ენერგია და თაოსნობა რეალურ შედეგების მისაღებათ. (ცენტრალური კომისია გამოგზავნის სათანადო დირექტივებს).

„ახალგაზრდა უმუშევრის კვირეულის“ წარმატებით ჩატარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ძლიერ და შეკავშირებულ მუშათა ახალგაზრდობის შენარჩუნების საქმეში და დამკვრელ ამოცანად უნდა გახდეს იგი.

ამიტომ ს. კ. პ. ცეკა, ს. ა. კ. კ. ცეკა და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭო წინადადებას გაძლევთ მთელი ძალ-ღონე მოახმაროთ ცენტრალურ და ადგილობრივ კომისიების მიერ დასახულ ამოცანების შესრულებას.

ს. კ. პ. ცეკას მდივანი: **კახიანი.**
ს. პ. კ. ს. მდივანი: **ყურულაშვილი.**
ს. ა. კ. კ. ცეკას მდივანი: **დევდარიანი.**

ქალაქ თბილისი.
1923 წ. მარტის 10.

პარტიის ზოგიერთი ამოცანების შესახებ

პარტიულ ყრილობასთან დაკავშირებით ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ისევ გავიხსენოთ პარტიის წინაშე მდგარი ზოგიერთი ამოცანები და აღვნიშნოთ მათი განხორციელების გზები და საშუალებანი.

ჩვენი პარტია მოწინავე რაზმია მუშათა კლასის. მისი სიძლიერის და ნაყოფიერი მუშაობის წყარო მჭიდრო კავშირი და ერთობა მთელ რევოლიუციონურ პროლეტარიატთან, რომლის მიერ ის საყოველთაოდ მიჩნეულია თავის მეთაურად და ხელმძღვანელად. თუ როგორ აფასებს მუშათა უპარტიო მასსა ჩვენს პარტიას, ეს, სხვათა შორის, ნათელყო პარტიის არსებობის და ბრძოლის 25 წლის თავის დღესასწაულმა, რომელშიაც მან მიიღო მხურვალე მონაწილეობა, ეს დღე მთელ მუშათა კლასმა აღიარა თავის დღესასწაულადაც, და ამით დაამტკიცა, რომ მას სავსებით აქვს შეგნებული მნიშვნელობა ჩვენი პარტიის, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მუშათა კლასის ინტერესებისათვის, მისი საბოლოო განთავისუფლებისათვის იბრძვის.

შემდეგი გაფართოვება და გაღრმავება ამ კავშირისა უპარტიო მუშათა მასსასთან, ამ უკანასკნელის მთლიანად შემოკრება თავის გარშემო შეადგენს ჩვენი პარტიის მუდმივ ამოცანას.

კომიჩეიკების და საერთოდ პარტორგანიზაციების კრებებზე ფართე მასსის მოზიდვა, მუშებში გაშუქება ჩვენი მორიგი ამოცანების და ნაბიჯების, მათი აქტიური და უშუალო დახმარებით საჭირო ღონისძიებათა გატარება და სხ.— ამ მიმართულებით უნდა მიმდინარეობდეს ჩვენი ყოველდღიური საქმიანობა.

აქვე გვინდა ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას. მრავალ პატიოსან უპარტიო მუშას გულწრფელად სურს არა მარტო იყოს დაახლოვებული ჩვენ პარტიასთან და მისთვის, ასე ვსთქვათ, გარედან ხელის შემწყობი, არამედ აქვს დიდი მისწრაფება უშუალოდ იმუშაოს პარტიის რიგებში.

ჩვენ ასეთ ელემენტებს უნდა გაუადვილოთ ჩვენს პარტიაში შესვლა. ამ მიზნით რამდენიმედ უნდა შევამსუბუქოთ პარტიაში შემოსვლის ის მძიმე პირობები, რომელნიც დააწესა პარტიის მე-11 ყრილობამ, ასეთი აზრი წამოაყენა ამხ. ზინოვიევმა, და ის ჩვენც მისაღებად მიგვაჩნია.

თუმცა ეს საკითხი გადაიჭრება არა მიმდინარე, ჩვენი პარტიის ყრილობის, არამედ საბჭოთა ფედერაციის კომუნისტურ ორგანიზაციათა მე-12 ყრილობის მიერ, მაგრამ მაზე დღესვე ჩვენი ამხანაგების და მუშათა მასსების ყურადღების მიქცევა და ამ ზომის დროულობის და მიზანშეწონილობის აღნიშვნა საჭიროა.

რა თქმა უნდა, პარტიის კარები უწინდებურად მაგრად ჩაიკეტება ყველა საეჭვო და არა-პროლეტარულ ელემენტებისათვის, ხოლო წმინდა მუშურ და რევოლიუციონურ ელემენტებით პარტიის შევსება სოციალურად უფრო გააპროლეტარებს მის შემადგენლობას, ამასთან ეს უფრო ფართედ და მჭიდროდ დაუახლოვებს ჩვენს პარტიას მთელ მუშათა კლასს.

გარდა უპარტიო მუშებთან კავშირის განმტკიცებისა, პარტიის ამოცანას შეადგენს ასეთივე კავშირის გაღრმავება მშრომელ გლეხკაცობასთან და უკანასკნელის მოქცევა თავის განუზიარებელ იდეიურ და პოლიტიკურ გავლენის ქვეშ.

ჩვენი ქვეყანა, როგორც ცნობილია, უმთავრესად სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა; აქ გლეხობა შეადგენს მცხოვრებთა აბსოლიუტურ უმრავლესობას. ამიტომ, გლეხობის ასეთ თუ ისეთ დამოკიდებულებას ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს.

მშრომელ გლეხობას საერთოდ მშვენივრად აქვს შეგნებული როლი ჩვენი პარტიისა, რომელმაც მას მიწა მიანიჭა, და ის აქტიურად უჭერს მხარს პარტიის ღონისძიებებს, მიმართულთ გლეხობის განთავისუფლებისაკენ ეკონომიურ მონობის და სულიერ სიბნელე-სიბეჩავისაგან.

მუშაობა გლეხობის დასაახლოვებლად პარტიასა და მუშათა კლასთან კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს.

და ამ საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს უმთავრესად გლეხების სასარგებლოდ გადადგმულ პრაქტიკულ ნაბიჯებს.

პირველ რიგში ისევ დგას ზრუნვა გლეხური მეურნეობასა და სახელმწიფო მრეწველობის შორის ნორმალურ დამოკიდებულების დამყარებაზე, სოფლის მეურნეთათვის ყოველგვარ დახმარების აღმოჩენაზე. ამ ეკონომიურ საფუძველზე ადვილი იქნება მიწის მუშის და ქარხნის მუშის, მშრომელ გლეხის და ჩვენი პარტიის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირება.

ამასთან ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაკუთნებთ სათანადო აგიტაცია-პროპაგანდას და სხვა და სხვა კამპანიების ჩატარებას. და ამ შემთხვევაში ჩვენ გვმართებს დიდი მომზადება და სიფრთხილე. აქ შაბლონს და ტრაფარეტს ადგილი არ უნდა ექნეს. უნდა გაუწიოთ ანგარიში გლეხის პსიქოლოგიას, მის ზნე-ჩვეულებას და მივაწოდოთ გასაგები ფორმით ის მასალა, რომლის მონელებას ის შესძლებს.

სათანადო სამეურნეო ღონისძიებათა მიღებით და იდეიური გზით ჩვენ მოვახერხებთ მთელი მშრომელ გლეხ-კაცობის მჭიდროდ დაკავშირებას მუშათა კლასს და მის ხელმძღვანელ პარტიასთან.

პარტია თავის გავლენის განმტკიცებას უპარტიო მუშებსა და გლეხებში შესძლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის თვითონ იდგომება თავის დანიშნულების სიმაღლეზე.

აქ ჩვენ უმთავრესად მხედველობაში გვაქვს პარტიის წევრთა ცოდნის და კლასიურ შეგნების ამაღლება, მათი კომუნისტური აღზრდა.

ცხადია, სხვაზე რო მოახდინო იდეიური გავლენა, სხვას რო რამე ასწავლო, პირველ ყოვლისა თვითონ უნდა იყო შესაფერისად მომზადებული — გათვითცნობიერებული.

ჩვენი დრო არის არა მარტო ეკონომიური აღმშენებლობის პერიოდი, არამედ დრო სწავლების.

პარტიის წევრთა საერთო განათლება, მათი კლასობრივი შეგნების მეტი გაღრმავება უწინდებურად შეადგენს ჩვენს ამოცანას. ამისთვის მოწოდებულია პარტსკოლები და სხვა და სხვა კულტურული დაწესებულებანი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სხვა და სხვა წრეების მოწყობას, რომელთა ქსელით უნდა მოიფინოს ჩვენი პარტ-ორგანიზაციები. დღეს განსაკუთრებით საჭიროა ჩვენი მარქსისტული იდეოლოგიის გავრცელება. ახალი ეკონომიური პოლიტიკა საშიშროებას შეიცავს წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის გაფართოვების მხარითაც. მას ჩვენ უნდა დაუპირდაპიროთ მარქსისტული შემეცნების ბასრი იარაღი პარტიის ყოველი წევრი უნდა იყოს მით აღჭურვილი. მაშინ ის არამც თუ თვითონ იქნება უზრუნველყოფილი წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიით წალეკისაგან, არამედ უპარტიო მშრომელ მასსაც დაეხმარება მის აღმოსაფხვრელად.

დღეს წარმოებს ბრძოლა მასსის იდეიურ დაპყრობისათვის. და რამდენადაც ჩვენ მოვახერხებთ ამ ბრძოლაში გამარჯვებას, მით უფრო განვამტკიცებთ ჩვენი პარტიის პოზიციას დანარჩენ მშრომელ ხალხში.

ამ გარემოებას პარტიამ უნდა მიაქციოს სერიოზული ყურადღება და ამ სფეროში გასწიოს სისტემატიური მუშაობა.

ინგლისის კომუნისტურ პარტიაში

ინგლისის კომპარტიის განვითარება დღემდის ნელის ტემპით მიდიოდა. და ამხ. ზინოვიევმა ხაზი გაუსვა ამ ფაქტს კომინტერნის უკანასკნელ კონგრესზე. პარტიისათვის ცხადი გახდა, რომ საჭიროა გადაისინჯოს მუშაობის დაყენება და მისი მეთოდები და აგრეთვე პარტიულ აპარატის მოწყობის პრინციპები. ეხლა, ამ სარეორგანიზაციო მუშაობის ორი თვის შემდეგ, კმაყოფილებით შეიძლება აღინიშნოს მიღწეული გამარჯვება. ცენტრალურ კომიტეტის ანგარიში გვიჩვენებს, რომ უკანასკნელი რეგულიარულად მუშაობდა და ეხმარებოდა ყველა მნიშვნელოვან საკითხებს (რურის საკითხი, ერთიანი ფრონტი, ცენტრალურ ორგანოს რეორგანიზაცია, საპარლამენტო არჩევნები და სხვა).

საპარლამენტო არჩევნებმა მოუსწრო პარტიას სწორეთ იმ მომენტში, როდესაც ის შინაურ სარეორგანიზაციო მუშაობას შემოღებას ეწეოდა და შესძლო პარტიის სახელით მხოლოდ 2 წარმომადგენელის და 5 არაოფიციალურის დასახელება. უკანასკნელები მოწონებულ იქნენ მუშათა პარტიის მიერ. ამ არჩევნების შედეგები უკვე ცნობილია. პარტიის ოფიციალურ კანდიდატებიდან გავიდა ამხ. ნიუბოლდი, ხოლო მეორე ამხ. გალაკერი თუმცა ვერ გავიდა, მაგრამ ეჭვს გარეშეა ხელი შეუწყო მისი მეტოქის ჩერჩილის გაშავებას.

პარტიის არაოფიციალურ კანდიდატებიდან არჩეულ იქნა ამხ. საკლატვალა, ხოლო ორს ამხ. ფილიპ პრაისს და ა. გედსს დააკლდათ ხმების სულ უმნიშვნელო რაოდენობა, (პირველს—71 ხმა, მეორეს—60). სხვა კანდიდატებმაც მიიღეს ხმების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ამასთანავე მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ ამხ. პრაისი და გედსი ჩავიდენ თავიანთ საარჩევნო ოლქებში მხოლოდ 3 კვირით ადრე არჩევნების დაწყებამდე.

ჩვენი ამხანაგები აწარმოებდენ აქტიურ საარჩევნო კამპანიას. მადერველის ოლქში, სადაც ამხ. ნიუბოლდი გავიდა, 355 მუშა ეწეოდენ აქტიურ პროპაგანდას და საორგანიზაციო მუშაობას მისი არჩევის სასარგებლოთ. ისინი სახლებში დადიოდენ თვითეულ ამომრჩეველთან. ლონდის ოლქში, სადაც კანდიდატი იყო ამხ. მალაკერი, გამართული იქნა 100-დე მიტინგი და გავრცელდა დიდძალი ლიტერატურა, მათ რიცხვში საარჩევნო გაზეთიც, რომელიც ყოველდღიურად გამოდიოდა არჩევნების დროს.

დიდი მუშაობა იქნა შესრულებული ერთიან ფრონტის დარგშიაც. წამოყენებულ იქნა პროგრამა, რომელიც ეხება მუშათა კლასის საარსებო ინტერესებს მხარის პირობების დარგში, წარმოების კანტროლს, სიძვირესთან ბრძოლას, საბინაო საკითხს, და გადასახადებს. გარდა ამისა სწარმოებდა აგრეთვე ბრძოლა ომის მუქარის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის ლოზუნგის ქვეშ. დარიგებულ იქნა დაახლოვებით 200.000 მოწოდება, რომელიც ამ პროგრამას შეიცავდა. უკანასკნელი, როგორც საერთო გამოსვლების საფუძველი, მოთავსებული იქნა აგრეთვე მუშათა პარტიისადმი დამოუკიდებელ მუშათა პარტიის, სოციალისტურ ჯგუფების და მუშათა სხვა ორგანიზაციებისადმი მიწერილ ღია წერილში.

მნიშვნელოვანი წარმატება მიღწეულია პარტიის ცენტრალურ ორგანოს რეორგანიზაციის დარგში. ძველი ორგანო „კომუნისტი“ ვრცელდებოდა მხოლოდ 19.000 ეკზემპლიარად, ახალ ორგანოს „მუშის ყოველკვირეული“-ს პირველი ნომრის ტირაჟი იყო—35,000 ც. მეორისი—40.000 და იმედია, რომ ახლო მომავალში „მუშის ყოველკვირეული“ მოიპოვებს მუდმივ მკითხველთა იმდენ რაოდენობას, როდესაც შესაძლებელი გახდება ყოველდღიურ ორგანოს გამოცემად. ცეკას რეზოლიუცია შიორგანოს სახელწოდების შეცვლის გამო ნათქვამია: „ჩვენ გადავდგით მნიშვნელოვანი ნაბიჯი, როდესაც პარტიულ ორგანოს სახელწოდება შეუცვალეთ... გამოვდიოდით რა პარტიულ მოსაზრებიდან, რათა შევჭრილიყავით მუშათა ფართო წრეებში, რომელნიც ჯერ კიდევ რაღაც ცრუმორწმუნეობას იჩენენ „კომუნისტის“ სახელწოდებისადმი... ჩვენ ვფიქრობთ, რომ გაზეთის ახალი სახელწოდებით ჩვენ შევსძლებთ მეტის გაკეთებას ამ ცრუ მორწმუნეობის წინააღმდეგ ბრძოლის მხრივ.“ ახალი ორგანო გამოდის 4—6 სვეტათ და იმით განსხვავდება „კომუნისტიდან“, რომ ათავსებს არა იმდენად თეორეტიულ ხასიათის წერილებს, როგორც ცოცხალ ახალ ამბებს ინგლისის კლასთა ბრძოლის სფეროდან. მეორე ნომერში გამოქვეყნებულია ვრცელი ანგარიში გაფართოებულ პარტიულ საბჭოს სხდომის შესახებ, რომლის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათ ითვლება: ერთიანი ფრონტის ტაქტიკის განგრძობა, მუშათა პარტიაში მიღების და მუშათა მთავრობის სასარგებლოთ ბრძოლა და კომინტერნის კონგრესის ყველა გადაწყვეტილებათა მოწონება.

რაც შეეხება პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების შინაგან ორგანიზაციას, ეს ორგანიზაციები, კომინტერნის დაგვარად, განიყოფება პოლიტიკურ და ტეხნიკურ სექციებათ.

პარტიას ყავს იაჩეიკები სამთომადნო, რკინისგზელთა, გემების აღმშენებელ მუშათა და სხვ. დიდ პროფკავშირებში. არსებობს განსაკუთრებული ინდუსტრიალური კომისია, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს ამ იაჩეიკების მუშაობას. გარდა ამისა, პარტია იღებს აქტიურ მონაწილეობას უმუშევართა მოძრაობაში და ხელმძღვანელობას უწევს მას. (უმუშევართა ლაშქრობა მოწყობილ იყო პარტიის ინიციატივით).

რურის კონფლიქტის გამო, პარტიამ განავითარა ფართო პროპაგანდა საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მოაწყო მთელი რიგი მიტინგებისა და გამოსცა დიდძალი მოწოდებები.

პარტიის რეორგანიზაცია სწარმოებს კომინტერნის მიერ აღებულ გეზით და შეიძლება აღინიშნოს, რომ დღეს პარტიის წევრთა დაახლოვებით 40 პროც. ეწევა აქტიურ პარტიულ მუშაობას.

საერთოთ უკანასკნელ ხანებში პარტიის განვითარებას გაცილებით მეტი წარმატება ეტყობა, ვიდრე წინათ.

საქართველოს კომპარტიის მეორე ყრილობა

პირველი საზეიმო სხდომა

14 მარტს, სახაზინო თეატრში, თბილისის კომორგანიზაციის წევრების თანადასწრებით გაიხსნა პირველი საზეიმო სხდომით საქართველოს კომპარტიის მეორე ყრილობა.

ყრილობის გახსნა

ყრილობა გახსნა ამხ. **მიხა ცხაკაიამ** მოკლე სიტყვით რუსეთის კომპარტიის არსებობის 25 წლის და კარლ მარქსის გარდაცვალების ორმოცი წლის თავის გამო.

საპატიო თავმჯდომარეები

ყრილობის საპატიო წევრებათ არჩეულ იქნენ ამხ. **ლენინი, ტროცკი, სტალინი, კამენევი, კუიბიშევი, კლარა ცეტკინი და კაშენი.**

პრეზიდიუმის არჩევა

პრეზიდიუმში ერთხმათ იქნენ არჩეული ამხ. **მ. ცხაკაია, ს. ორჯონიკიძე, მამია ორახელაშვილი, შ. ელიავა, ფ. მახარაძე, მ. ოკუჯავა, გ. სტურუა, მ. კახიანი, ლ. სუხიშვილი, ლაკობა, ჯატიევი, ნ. სვანიძე, დ. ლორთქიფანიძე, ქურდაძე, ვრაჩევი და გოგია.**

სამანდატო და სარედაქციო კომისიები და სეკრეტარიატი

სამანდატო კომისიაში არჩეული არიან: ა. ქავთარაძე, გ. ყურულაშვილი, წულუკიძე, ხუხუა, რატნევი. სარედაქციოში: საყვარელიძე, პიასეცკი, კიკნაძე. სეკრეტარიატში: ს. მამულია, ა. გიორგაძე, თ. ელენტი.

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ამხ. კამენევს, რომელსაც ყრილობა ხვდება ოვაციებით.

ამხ. კამენევის მოხსენება. *)

დაწვრილებითი სიტყვაში, რომელსაც ყრილობა დიდის ყურადღებით ისმენდა სამი საათის განმავლობაში, ამხ. კამენევმა გააშუქა პარტიის მომავალ მე-12 ყრილობის განხილვის საგანი—რუსეთის ს. ს. რესპუბლიკის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრების ყველა ძირითადი საკითხები.

კავშირი გლეხობასთან.

მომენტის ძირითადი და ცენტრალური საკითხი,—ამბობს ამხ. კამენევი,—მდგომარეობს იმაში, რომ გავაგებინოთ და განუმარტოთ მასებს პროლეტარიატის დიქტატურის მნიშვნელობა.

რუსეთის თანამედროვე პირობებში პროლეტარიატის დიქტატურა დამყარებულია, პირველათ ყოვლისა, იმაზე, რომ საქარხნო-საფაბრიკო პროლეტარიატმა დაიცვა, მოაწესრიგა და განამტკიცა გლეხობასთან კავშირი და, მეორეთ,—ჩაგრულ ერთა მშრომელ მასების საბჭოთა ხელისუფლებისადმი თანაგრძნობასა და ნდობაზე.

გლეხობასთან კავშირის შესახებ ამხ. კამენევი აღნიშნავს, რომ მენშევიკების ცდა მიმართულია სწორეთ იმისკენ, რომ გაფართოებულ იქნას ნაპრალი სახელმწიფო აპარატის, საბჭოთა ხელისუფლებისა და მის საფუძვლის—მრავალ მილიონიან გლეხურ მასის შორის.

— და ჩვენ გვმართებს,—ამბობს ამხ. კამენევი—წინააღმდეგ ამისა ყურადღება მივაქციოთ იმ მტკივნეულ ადგილს, რომელიც არსებობს ჩვენსა და გლეხების შორის კავშირში, რა რიგ მცირე არ იყოს ეს ნაკლულოვანება.

უნდა გავიგოთ, რომ მსხვილ ინდუსტრიის ცხენზე პროლეტარიატი ჯერ ვერ დაჯდება, რადგან ის ჯერ ცხენი კი არა—მხოლოდ კვიცია, რომელსაც ჯერ გაზრდა სჭირია.

გლეხობის მდგომარეობის შემსუბუქება.

ეხება რა გლეხობაზე აკიდებულ გადასახადების ტვირთის შემსუბუქების კონკრეტიულ ზომებს, ამხ. კამენევი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელის-უფლების ცდა მიმართულია:

1) ყველა სხვა და სხვა გვარ გადასახადების გაერთიანებისა და 2) ნატურალურ გადასახადის ფულის გადასახადით შენაცვლებისაკენ.

გარდა ამისა გლეხობის კეთილდღეობა დარღვეულია პურის გაიაფებით. ამ პრობლემის გადაწყვეტა დამოკიდებულია **საზღვარ გარეთ ჩვენი პურის გაყიდვაზე.**

— კომპარტიამ,—ამბობს ამხანაგი კამენევი,—გზა უნდა გაიკაფოს საზღვარ გარეთისაკენ.

ჩვენი გლეხობის პურის ძველი ბაზარი ჩვენ ხელახლა უნდა დავიპყროთ. ეს იქნება კარდინალურ პოლიტიკურ ამოცანის გადაწყვეტა.

ჩვენ ყოველ დღე უნდა უმტკიცებდეთ გლეხს, რომ მისთვის უფრო ხელსაყრელია საბჭოთა ხელისუფლებასთან კავშირი, ვიდრე ბანკირთან, რომელიც გაიტანს პურს უცხოეთში და მის მაგიერ ხელში ჩაიგდებს მოხმარების საგნებს.

ეროვნული საკითხი.

შეჩერდა რა ჩვენი წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხზე ამხ. კამენევი შემდეგ გადადის ეროვნულ საკითხზე, როგორც უდიდეს, პირველ ხარისხოვან მნიშვნელობის საკითხზე.

ჩვენი გამაგრება კონტრ-რევოლიუციონურ დასავლეთისა და ნაციონალისტურ აღმოსავლეთის შუა,—აი ჩვენი ამოცანა. საერთაშორისო მდგომარეობა ამ ჟამათ ისეთია, რომ რევოლიუციონურ მასსების წინაშე უფრო მკაფიოთ, ვიდრე როდისმე საბჭოთა რუსეთის უპირატესობა იხატება, და ჩვენ უნდა დავიპყროთ ამ საკითხში იმ ხალხთა მშობელი მასსების ნდობა, რომლებიც ჩვენი მაგალითებით მსჯელობენ საბჭოთა ხელისუფლების უპირატესობაზე.

ამხ. კამენევი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ეროვნულ საკითხში ამ ჟამათ არც ამიერ-კავკასიაში და არც რუსეთში უთანხმოებას ადგილი არა აქვს.

ამხ. კამენევის დასასრული სიტყვები დაფარულ იქნა ძლიერი აპლოდისმენტებით.

(მეორე დღე. დილის სხდომა).

საქართველოს კომუნისტურ პარტიის მე-2-რე ყრილობის დილის სხდომა სასახლეში გაიხსნა გუშინ ამხ. **მიხა ცხაკაიას** თავმჯდომარეობით. სხდომის დასაწყისშივე ყრილობა იღებს ერთხმად და მქუხარე ტაშის კვრით ამხ. კახიანის მიერ წარმოდგენილ რეზოლიუციას ამხ. კამენევის მოხსენების გამო.

რეზოლიუცია ამხ. კამენევის მოხსენების გამო.

„მოისმინა რა რუსეთის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენლის ამხ. კამენევის მოხსენება კომპარტიის მორიგ ამოცანების შესახებ, კომუნისტურ პარტიის სრულიად საქართველოს 2-რე ყრილობა მთლიანად და სავსებით იწონებს რუსეთის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის პოლიტიკას და ღებულობს რ. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენლების დირექტივას უცვლელად სახელმძღვანელოდ.

ყრილობის დღის წესრიგი.

შემდეგ ყრილობის მიერ მოსმენილ და შეუსწორებლათ მიღებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი:

1. ცეკას პოლიტიკური ანგარიში.
2. საორგანიზაციო ანგარიში.
3. სარევიზიო კომისიის ცნობა.
4. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მოხსენება.
5. ახალგაზრდათა კომკავშირის ცეკას ანგარიში.
6. საქ. პროფკავშირთა საბჭოს კომფრაქციის მოხსენება პროფკავშირთა მუშაობის შესახებ.
7. მიწის რეფორმის შედეგები.
8. ნაციონალური მომენტი პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობაში.
9. სამეურნეო აღმშენებლობის ამოცანები საქართველოში.
10. არჩევნები.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეგლამენტი.

ყრილობის რეგლამენტი.

ყრილობის სხდომები იმართება დილის 10 საათ. დღის 3 საათამდე და საღამოს 6 ს.—10 საათამდე.

დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ცენტრალურ კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში. მომხსენებლად გამოვიდა ამხ. მამია ორახელაშვილი. ამით დამთავრდა 15 მარტის დილის სხდომა. შემდეგი სხდომა საღამოს 6 საათზე.

---

*) სტენოგრაფიული ანგარიში დაიბეჭდება.

რადიო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

ჩქარობენ გაიტანონ ნახშირი.

პარიზი, 15 მარტი. ფრანგები საჩქაროთ ტვირთავენ ვაგონებს სათბობი მასალით, რომელიც მათ ხელში ჩაიგდეს ვესტერგოლდის სახელმწიფო მაღაროებში.

ფრანგების პროვოკაცია.

რომი, 15 მარტი. კოლოვის სააგენტოს ცნობით, ბიურში ორი ფრანგის მოკვლა, რომელმაც სისხლის მღვრელი ექსცესები გამოიწვია, თვით ფრანგების მიერ არის ჩადენილი.

პოლიციის განიარაღება.

რომი 15 მარტი. საფრანგეთის ჯარებმა, დორტმუნდში შესვლისას განიარაღეს ადგილობრივი პოლიცია და დააპატიმრეს აფიცრები.

უკან დახევა.

ბერლინი. 15 მარტი. გაზ. „ენტრანსიჟანი“ იტყობინება, რომ საინჟენერო საკავშირო კომისიამ გადავიდა ესსენიდან დიუსელდორფში.

ახალი დამსჯელი ზომები.

ბერლინი. 15 მარტი. ფრანგული გაზეთების ცნობით, საფრანგეთის მთავრობამ რეკვიზიციების მოსახდენათ შემოიღო 3 ახალი დამსჯელი ღონისძიება.

ოკუპანტები წინააღმდეგნი არიან მშვიდობიან შეთანხმების.

ბერლინი. 15 მარტი. საფრანგეთი და ბელგია თავს ანებებენ რაიმე მოლაპარაკებას და წინააღმდეგი არიან რურის საკითხში რომელიმე შუამავალის ჩარევის.

ბრიუსელის თათბირის დადგენილებათა დამტკიცება.

ბერლინი. 16 მარტი. ბელგიის მინისტრთა საბჭომ პრემიერ ტენისის მოხსენების შემდეგ ერთხმად მიიღო ყველა დადგენილება, რომელიც ბრიუსელის თათბირზე იყო გამოტანილი.

რურის გარეშე გერმანიას არ შეუძლია გადასახადის შეტანა.

ბერლინი 15 მარტი. ბრიუსელის თათბირის და პუანკარეს განცხადების გამო, რომ საოკუპაციო ხელისუფლების ევაკუცია შეუძლებელია მხოლოდ გერმანიის დაპირებების მიხედვით, ბერლინის პოლიტიკური და პარლამენტის წრეებში ლაპარაკობენ, რომ გერმანიას შეუძლია თავისი ვალდებულების შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას საშუალება ექნება თვითვე განაგოს თავისი მრეწველობა და ფინანსები. ეს იმას ნიშნავს, რომ რურის ნახშირიანი ადგილების გარეშე გერმანიას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია გადასახადის შეტანა.

მწარმოებლები თავდაცვითი ომისათვის.

ბერლინი. 15 მარტი. მწარმოებლების კავშირის კრებაზე, რომელიც მოხდა ბერლინში, დაადგინეს განაგრძონ თავდაცვითი ომი რურის ოკუპაციის წინააღმდეგ. შრომის მინისტრმა ბრაუნმა ამ კრებაზე ხაზ-გასმით აღნიშნა რურის ოლქში წარმოებული ბრძოლის არაჩვეულებრივი ხასიათი, რომლის მზგავსი ჯერ ისტორიასაც არ ახსოვს, როდესაც ბრძოლის აპარატი მიმართულია უიარაღო, მაგრამ არა უმწეო მცხოვრებლების წინააღმდეგ.

ახალი თათბირი.

ბერლინი. 15 მარტი. „დეილი მეილი“ იუწყება, რომ ფენისს განზრახული აქვს გაემგზავროს პარიზში, სადაც მას თათბირი ექნება ნახშირის და კოქსის რეკვიზიციის შესახებ. აგრეთვე ის საფრანგეთთან ერთად შეიმუშავებს გადამწყვეტ ზომებს სარეპარაციო საკითხის მოწესრიგების მიზნით.

ბიურის მსხვერპლთა დაკრძალვა.

ბერლინი. 15 მარტი. ბიურიდან იუწყებიან, რომ ბიურის ექსცესების დროს მოკლული გერმანელები დაასაფლავეს ყოველივე პატივისცემის გარეშე. ფრანგებმა არავინ გაატარეს მოკლულების კუბოებთან.

ახალი პოლიციის ორგანიზაცია.

ბერლინი. 15 მარტი. ქალაქი ბიურის ფრანგმა კომენდანტმა, ფრანგ ოფიცრების მოკვლის გამო, გამოსცა ბრძანება მუნიციპალურ სამმართველოსადმი ქალაქის მილიციის ახალი კადრის სასწრაფოდ მოწყობის შესახებ. გერმანელების აზრით, ეს არის ფრანგების მიერ თავიანთი შეცდომის აღიარება გერმანიის პოლიციის ლიკვიდაციის საქმეში.

საალყო წესები.

რომი. 15 მარტი. დიუსელდორფში გამოცხადებულია საალყო წესები, რომლებითაც საოკუპაციო ხელისუფლება სასტიკათ სარგებლობს: 19 საათის შემდეგ ქალაქში მიმოსვლა აკრძალულია.

კომუნისტების დაპატიმრება.

მოსკოვი. 15 მარტი. საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ დააპატიმრა მანჰეიმში 2 კომუნისტი, რომლებსაც ბრალი ედება რურის ოლქის ოკუპაციის წინააღმდეგ საპროტესტო პლაკატების გავრცელებაში. ბადენში და პფალცში ოკუპანტების მიერ დაპატიმრებულია კიდევ 10 კომუნისტი.

ფარულ ორგანიზაციის აღმოჩენა.

მოსკოვი. 15 მარტი. დიუსელდორფიდან მიღებულ ცნობების თანახმად რეკლინსგაუზენის მიდამოებში ფრანგების მიერ აღმოჩენილ იქნა ფარული ორგანიზაცია სახელწოდებით: „ახალგაზრდა გერმანია“, რომლის მიზანი იყო მოკავშირეების მიმართ წინააღმდეგობისათვის დახმარება. ბოხუმის ცენტრალურ საპყრობილეს გაჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა ვაზნების და ყუმბარების დიდი რაოდენობა.

საფრანგეთის მოხელეების მოკვლა.

მოსკოვი. 15 მარტი. რეკლინსგაუზენის ახლოს ბიურში მიმავალ გზაზე ნახეს მოკლული საფრანგეთის მსროლელ ლეგიონის აფიცერი და საფრანგეთის რკინის გზის აგენტი, რომელიც სადგურის უფროსის ფუნქციებს ასრულებდა. ამის გამო ფრანგებმა წაიყვანეს მძევლებათ ქალ. ბიურის ქალაქის თავი, პოლიციის უფროსი და ორი თანამდებობის პირი.

რურის გარშემო

გზა ჯვარედინზე.

პარიზი. 15 მარტი. ინგლისის თემთა პალატაში ბრიტანეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს სტატს-სეკრეტარმა მაკ-ნეილმა უპასუხა რა შეკითხვაზე, აღნიშნა, რომ მისი აზრით რურში მდგომარეობა გზა ჯვარედინზეა მისული და როგორც სჩანს გამოსწორდება.

სიმპატიები საფრანგეთისადმი.

პარიზი. 15 მარტი. ლიბერალებმა და „ლამურ პარტიამ“ შეიტანეს პარლამენტში საერთო წინადადება „კეთილ განწყობილ ნეიტრალიტეტის“ წინააღმდეგ, რომელსაც იზიარებს ბონარ-ლოუს კაბინეტი რურის საკითხში. ამ განცხადებამ გამოიწვია ბრიტანეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს მხრივ განცხადება საფრანგეთისადმი სიმპატიების შესახებ.

ომისთვის ემზადებიან

ნაუენი. 15 მარტი. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ რურში მყოფ საფრანგეთის ჯარების დასახმარებლათ გამზადებულნი არიან კიდევ 15.000 ჯარისკაცი.

ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ყრილობა.

მოსკოვი. 15 მარტი. რეინ-ვესტფალიის ოლქის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ყრილობაზე ესსენში გამოცხადდა 666 დელეგატი. საფრანგეთის კომუნისტურ პარტიის წარმომადგენლის გამოსვლამ თავიდანვე მისცა ყრილობას ინტერნაციონალურ-რევოლიუციონური ხასიათი. ყრილობაზე პირველათ გამოვიდნენ სოციალ-დემოკრატიული ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები, რომლებიც შეადგენდნენ ცალკე ფრაქციას 38 წარმომადგენლებისაგან. ამ ფრაქციის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია კიცხავს მთლიან პროლეტარულ ფრონტის საბოტაჟის ყოველგვარ ცდას, როგორც დანაშაულებას მუშათა კლასის წინააღმდეგ. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია კომუნისტურ პარტიის ცეკას წევრის ბეკერის მოხსენებამ. ძველ კომისიის მაგიერ არჩეულია ახალი, სახელწოდებით „რეინ-ვესტფალიის ოლქის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა და რევოლიუციონერთა კომიტეტი“.

გერმანიის ამბები

ავიწროებენ მუშებს.

მოსკოვი. 15 მარტი. მარკის სტაბილიზაციის გამო გერმანიის მთავრობა სცდილობს მოახდინოს ხელფასის სტაბილიზაცია. ამან დიდი აღშფოთება გამოიწვია მუშებს შორის. პროფკავშირებმა მიმართეს პროტესტით შრომის მინისტრს ბრაუნს რომელიც არ თანაუგრძნობს ამ კანონპროექტს. კუნო და სახალხო მეურნეობის მინისტრი ბეკკერი დაჟინებით მოითხოვენ ხელფასის სტაბილიზაციას.

გადადიან მოქმედებაზე.

მოსკოვი. 15 მარტი. გერმანიის პროლეტარიატი სულ უფრო და უფრო მეტ აქტივობას იჩენს. ლითონის წარმოების მუშები და ფეიქრები მოითხოვენ ხელფასის 100 პროც.-ით გადიდებას. მდგომარეობა საქსონიის ქიმიურ მრეწველობაშიაც გამწვავდა, სადაც მუშების ერთმა ნაწილმა გაფიცვა გამოაცხადა. ამის საპასუხოთ მწარმოებლებმა ლოკაუტი გამოაცხადეს.

ხელისუფლების კრიზისი საქსონიაში.

მოსკოვი. 15 მარტი. საქსონიის გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის კომისიის მოლაპარაკება კომუნისტებთან საქსონიის მთავრობის შედგენის შესახებ უშედეგოთ დამთავრდა. სოციალ-დემოკრატები ილაშქრებენ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონგრესის პროფკავშირის მონაწილეობის გარეშე მოწვევის წინააღმდეგ. ამის საპასუხოთ კომუნისტებმა წინადადება მისცეს კონგრესის მოწვევის სადავო საკითხი პლებისციტი გადასწყდეს წარმოებებში, ამ წინადადებების უარყოფის შემდეგ კომუნისტებმა განაცხადეს, რომ შეიქნა ახალი პოლიტიკური სიტუაცია, რომლის განხილვა საჭიროა მოხდეს კომუნის-

ტურ პარტიის გაფართოებულ კონფერენციაზე. ლიპინსკი „ფორვერტსში“ ამტკიცებს, რომ კომუნისტების წინადადების უარყოფის შემდეგ, მთავრობაში კომუნისტების შესვლა შეუძლებელია. ლიპინსკი მოლაპარაკების მარცხით გათავებას პროფკავშირებს აბრალებს.

მელითონეთა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების პლენუმი.

მოსკოვი. 15 მარტი. გერმანიის მელითონეთა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების პლენუმში დრეზდენში, მოხსენება გააკეთა საქსონიის სახალხო მეურნეობის მინისტრმა სოციალ-დემოკრატმა ტელინმა, რომელიც მოითხოვდა კომუნისტების მიერ წარმოდგენილ მოთხოვნილებების უარყოფას. კრებამ დაადგინა მოუსმინოს ლანდტაგის დეპუტატს კომუნისტ-რენკერს თანამოხსენებელის სახით და ხმების დიდი უმრავლესობით დაადგინა დაუყონებლივ მოწვეულ იქნას ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების კონფერენცია.

შემთანხმებელთა ინტერნაციონალებში.

მოსკოვი. 15 მარტი. უნგრეთის და ამსტერდამის ინტერნაციონალის წარმომადგენელთა კომისია, რომელიც იმუშავებს საკითხს ინტერნაციონალების გაერთიანების შესახებ და აგრეთვე გერმანიის ეკონომიურ მდგომარეობის გამომრკვევი კომისია, შეიკრიბებიან კონფერენციაზე ბრეგენცში 5 აპრილს.

შეტაკება ფაშისტებთან.

მოსკოვი. 15 მარტი. გერმანიის ფაშისტები, იტალიის ფაშისტების მაგალითის მსგავსათ, ერთ-ერთ ბერლინის კრებაზე გამოვიდნენ განსაკუთრებულ ტანთსაცმელში ნაციონალისტების უკანასკნელი კრება ერტნერში, ბერლინის ახლოს, გარეკილ იქნა ადგილობრივ კომუნისტების მიერ, მათთვის დასახმარებლათ მისულ რამოდენიმე ათას ბერლინის მუშებთან ერთად. ფაშისტებთან მომხდარ შეტაკებაში გაიმარჯვეს მუშებმა. დაჭრილია ნაციონალისტების დიდი რიცხვი.

გადასახადების გადიდება.

მოსკოვი. 15 მარტი. რეიხსტაგში გადასახადის გადიდების შესახებ კანონპროექტის გარჩევის დროს, ბურჟუაზიულ პარტიებმა შეიტანეს კანონპროექტში შესწორება, რომელიც შეღავათს აძლევდა შეძლებულ კლასს. მათ შესწორების უარყოფის შემდეგ ბურჟუაზიულ უმრავლესობამ, ქვორუმის ჩაშლის მიზნით, დასტოვა სხდომის დარბაზი.

ცეცხლის გაჩენა ჰამბურგში.

ბერლინი. 15 მარტი. 13 მარტს ჰამბურგში გაჩნდა ცეცხლი. გადაიწვა ინგლისის სატრანსპორტო გემი „ბენგენუცლო“ და ფქვილის საწყობები და აგრეთვე წისქვილები ნავთსადგურში. ცეცხლისაგან მიყენებული ზარალი ათეულ მილიარდებს უდრის.

ახლო აღმოსავლეთში

საბერძნეთის სამხედრო მზადება

მოსკოვი. 15 მარტი. რუმინეთის გაზეთების ცნობით საბერძნეთის ჯარების გადაჯგუფება დასავლეთ ფრაკიაში დამთავრდა. ლილ-ბურგასში და ჩორლში თავმოყრილია საბერძნეთის ჯარების დიდი რიცხვი. დედეაგაჩში გადმოტვირთეს აუარებელი სამხედრო მოწყობილება.

ოსმალეთის კონტრწინადადებანი

მოსკოვი. 15 მარტი. ოსმალეთის ნოტის კონტრწინადადებანი მოკავშირეებისადმი მდგომარეობს შემდეგში: მოკავშირეების ხელშეკრულების პროექტის პირველ ნაწილში შეტანილია შესწორება, რომლის ძალით კუნძული მერკერი ადმინისტრატიულათ ემორჩილება კუნძულ ტენედოსს, კატელორიცის და ტხაიანეგოს კუნძულებზე მყარდება ოსმალეთის სუვერენიტეტი, დასავლეთ ფრაკიას საზღვრათ ედება მდინარე მარიცა. პროექტის მეორე ნაწილში ოსმალეთი მოითხოვს ლოზანის პროექტის 47 და 46 სტატიების შეცვლას. პროექტის მესამე ნაწილი, რომელიც ეხება ეკონომიურ და ფინანსიურ საკითხებს, გამორიცხულია იმ მოსაზრებით, რომ სათანადო საკითხები განხილული იქნეს შემდეგში. მეოთხე ნაწილი მიღებულია სავსებით ზოგ პარაგრაფებისა და 128 და 130 სტატიების გამოკლებით მეხუთე ნაწილი მიღებულია სრულიად ცოტა ცვლილების შეტანით, ამის გარდა უცვლელათ მიღებულია კონვენციები სრუტეებისა და ფრაკიის საზღვრების შესახებ. აგრეთვე ოსმალეთი მოითხოვს დაუბრუნდეს მას მოკავშირეების მიერ გატაცებული ფლოტი და სამხედრო მოწყობილობა.

მოლაპარაკების განახლება მოხდება ევროპის ერთ-ერთ ქალაქში კონსტანტინოპოლზე უპირატესობის მიკუთვნებით. ნოტა გამოსთქვამს იმედს, რომ მოლაპარაკებანი დამთავრდება ორი კვირის განმავლობაში და ითხოვს დაუყონებლივ პასუხს.

ამხ. აბილოვის გვამის გადმოსვენება

ანგორა. 15 მარტი. ანგორიდან იტყობინებიან, რომ საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლის ამხ. აბილოვის გვამი წამოასვენეს სმირნიდან სტამბოლით რუსეთში 12 მარტს. წამოსვენების დროს ამხ. აბილოვის ნეშთს სამხედრო პატივი სცეს.

საბერძნეთის გემის ავარია

ბერლინი. 15 მარტი. იტალიიდან მიღებულ ცნობების თანახმად საბერძნეთის სამხედრო გემის ავარიის დროს პირეიაში დაიღუპა 350 კაცი.

იტალიის ფაშისტები სტამბოლში

რომი. 15 მარტი. ოსმალეთის გაზეთები იტყობინებიან, რომ სტამბოლში დაარსდა იტალიის ფაშისტების სექცია.

იტალიას ეშინია ანტანტის პრესტიჟის დაცემის

რომი. 15 მარტი. იტალიის დიპლომატიურ წრეებში ფიქრობენ, რომ ოსმალეთის მიერ კუნძულ კასცელორიცოზე წარდგენილ პრეტენზიები წინააღმდეგობას გაუწევს იტალია და იმედოვნებენ, რომ ამ საკითხში იტალიას მხარს დაუჭერენ საფრანგეთი და ინგლისი, რომელნიც არ დაუშვებენ ანტანტის პრესტიჟის დაცემას.

ინგლისის ამბები

ირლანდიის რესპუბლიკანელების დაპატიმრება.

მოსკოვი. 15 მარტი. ლონდონში, ლივერპულში, მანჩესტერში და გლაზგოში ინგლისის პოლიციამ დააპატიმრა 150 კაცამდე რესპუბლიკანელები. დაპატიმრებულები ინგლისის კრეისერით გაგზავნეს ირლანდიაში. შოტლანდიის მუშათა პარტიის წევრებს უახლოეს სხდომაზე განზრახული აქვთ შეიტანონ შეკითხვა აღნიშნულ დატუსაღებების გამო. იტყობინებიან, რომ ეს დაპატიმრებანი მოხდა ირლანდიის დროებითი მთავრობის თხოვნით.

საზღვაო ბიუჯეტი.

მოსკოვი. 15 მარტი. ინგლისის საზღვაო ბიუჯეტი განსაზღვრა მთავრობამ 61 მილ. გირვანქა სტერლინგით, წასული წლის ბიუჯეტი კი უდრიდა 69 მილ. გირვანქა სტერლინგს. კომუნისტ ნიუბოლდმა მხარი დაუჭირა მუშათა პარტიის შესწორებას, და განაცხადა, რომ ბრიტანეთში ძალაუფლება მუშათა კლასის ხელში იყვეს, ისინი გამოვიდოდნენ საზღვაო მიმოსვლის დასაცავათ წითელი არმიისა და ფლოტის ძალებით სურსათ-სანოვაგის მოზიდვის საქმეში, მაგრამ ამ ჟამათ ისინი ხმას მისცემენ სამხედრო ბიუჯეტის წინააღმდეგ. მუშათა პარტიის შესწორება არ მიიღეს.

მემაღაროეთა შორის.

მოსკოვი. 15 მარტი. „დეილი-გერალდის“ ცნობით ნახშირის მრეწველობაში შექმნილ მდგომარეობის გამო და პრემიერის განცხადების შემდეგ, რომ მთავრობა არ ჩაერევა კონფლიქტის განხილვის საქმეში, სამხრეთ უელსის წარმომადგენლები მემაღაროეთა ნაციონალურ კონფერენციაზე შეიტანენ წინადადებას გაუქმებული იქნეს არსებული კოლექტიური ხელშეკრულობა.

გერმანია ბრიუსელის კონფერენციის შესახებ.

ნაუენი. 15 მარტი. გერმანიის პოლიტიკური და საპარლამენტო წრეები, იხილავენ რა საფრანგეთ-ბელგიის განცხადებას, ბრიუსელის კონფერენციის შესახებ, გამოსთქვამენ რწმენას, რომ გერმანიის პრაქტიკული წინადადებები, რომლებიც ეხებიან საკონტრიბუციო პრობლემებს არ იქნება წამოყენებული მანამდე, სანამ პუანკარე არ იცნობს მშვიდობიან შეთანხმების გზის უპირატესობას, რურის საკითხის გადაწყვეტაში.

ამერიკა

დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს.

მოსკოვი. 15 მარტი. ამერიკის მთავრობა უკმაყოფილოა საფრანგეთის წინადადებით, აუნაზღაუროს ამერიკის არმიის შესანახი ხარჯები რეინის ოლქში გერმანიის მომავალ სარეპარაციო გადასახადებიდან და მოითხოვს, რათა ეს ხარჯები დაფარულ იქნას იმ თანხებიდან, რომელიც მოკავშირეებმა უკვე მიიღეს გერმანიისაგან.

ვაშინგტონის კომუნისტების პროცესი.

მოსკოვი. 15 მარტი. მიჩიგანის 10 კომუნისტმა, რომელთაც ბრალი ედებათ მიჩიგანში გამართულ კომუნისტურ კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებაში, თავის ნებით ჩაუვარდენ ხელში მიჩიგანის პოლიციას. ეს ნაბიჯი გადადგმულია პარტიის ცენტრალურ კომიტეტის დასტურით, რომელიც თავის განცხადებაში განმარტავს, რომ 10 ამხანაგი დანებდა არა ბურჟუაზიულ იუსტიციისადმი ნდობის გამო, არამედ იმიტომ, რომ დარწმუნებული არიან იმაში, რომ ამერიკის მუშათა კლასი მხარს დაუჭერს დაპატიმრებულ ამხანაგებს სასამართლოს პროცესის დაწყება დანიშნულია 17 მარტისათვის.

სპარსეთის ამბები

ინგლისელთა გემები ასხურეთის მიმართ.

მოსკოვი. 13 მარტი. თავრიზიდან მოსულ ცნობებით დოქტორ ისკანდელთან საუბარში ინგლისელმა კონსულმა განაცხადა, რომ ბრიტანეთი სცდილობს ამ ჟამათ შექმნას მესოპოტამიის ჩრდილოეთით დამოუკიდებელი ასსურეთი იმ საფუძველზე, რომელსაც ადგილი აქვს მესოპოტამიაში. ურმია და სალმასი შევლენ ასსურეთში, როგორც დამოუკიდებელი ნაწილები.

ანგლოფილების დამარცხება.

მოსკოვი. 13 მარტი. სპარსეთის მეჯლისში კაბინეტის პროგრამის გარშემო 6 მარტს გაიმართა სასტიკი ბრძოლა. ანგლო-ფილების ოპოზიცია, ყოფილ პრემიერის კავამას ხელმძღვანელობით, დაინახა რა თავისი უძლურება, ობსტრუქციის გზას დაადგა და დაიწყო ნაციონალურ ბლოკისა და მუსტაფას კაბინეტის ლანძღვა, რასაც შედეგათ ნაციონალურ ბლოკის მომხრეთა და ანგლო-ფილებს შუა ხელჩართული ბრძოლა მოჰყვა. მეჯლისის შენობის წინ ამ დროს ნაციონალურ ბლოკისადმი თანაგრძნობის მანიფესტაცია გაიმართა; ისმოდა ძახილი: „სიკვდილი კავამას—კაბინეტის მოწინააღმდეგეს და მოღალატე—ანგლო-ფილებს“.

პოლიციამ ძლივს-ძლივობით დააწყნარა ბრბო. ანგლო-ფილები სასტიკათ დამარცხდენ.

ჩ ი ნ ე თ ი

კაბინეტის კრიზისი.

მოსკოვი. 15 მარტი. პეკინიდან იტყობინებიან, რომ საკითხი პეკინის კაბინეტის გადადგომის შესახებ ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა. ტიანცზინის გენერლების ხროვა აწარმოებს შუამავლობს პრემიერსა და მილიტარისტებს შორის.

ჩინეთის მოთხოვნილება.

მოსკოვი. 15 მარტი. ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გადასცა იაპონიის ელჩს პეკინში ნოტა, რომელიც მოითხოვს 1915 წლის ხელშეკრულების გაუქმებას და წინადადება მისცა დანიშნულ იქნას მოლაპარაკება ჩინეთისათვის პორტ-არტურისა და დაირენის დაბრუნების შესახებ და აგრეთვე სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც შეეხება ამ ხელშეკრულებას. იაპონოფილების ორგანო „ნორდ-მაინა სტანდარტი“ სასაცილოდ სთვლის ჩინეთის ნოტას და აცხადებს, რომ იაპონია არასოდეს არ აიღებს ხელს თავის უფლებებზე მანჯურიაში“.

საბჭოთა რუსეთთან კავშირისათვის.

მოსკოვი 15 მარტი. პეკინში მოხდა დიდი დემონსტრაცია ლოზუნგებით „ძირს მილიტარაზმი“, „გაუმარჯოს ხალხის უფლებებს და საბჭოთა რუსეთთან კავშირს.

ჩინეთის რკინის გზელები არ ნებდებიან.

მოსკოვი. 15 მარტი. მიუხედავათ დაპატიმრებებისა და სიმკაცრისა, ხანკოუს რკინის გზელთა შორის მეფობს წინანდებურად ბრძოლის განწყობილება. ელიან გაფიცვების განახლებას.

სხვადასხვა ამბები

საფრანგეთში.

საფრანგეთის ჯარში გაწვევა.

პარიზი. 15 მარტი. საფრანგეთის არმიაში 1923 წლის ჰასაკის პირველი კონტინგენტის გაწვევა დანიშნულია 10 მაისისათვის.

კომუნისტების დაპატიმრება გრძელდება

მოსკოვი. 15 მარტი. ბელგიაში დაპატიმრებულ 40 კომუნისტებიდგან საპყრობილეში დარჩა 18 იმათი საქმე გადაეცა სასამართლოს გამომძიებელს. კომუნისტების გაჩხრეკვა და დაპატიმრება კვლავ გრძელდება. „ინდეპანდანს ბელჟ“-ის სიტყვით ეს დაპატიმრებანი მთავრობას უნდოდა მოეხდინა უფრო ადრე, მაგრამ თავს იჭერდა იმიტომ, რომ არ გამოეწვია გალიზიანება გაფიცულ სამთო-მადნო მუშათა შორის. ვანდერველდეს გაზეთი „პეპლი“, რომელმაც პირველათ გაილაშქრა კომუნისტების წინააღმდეგ, დღეს პირმოთნეობს და თითქოი აღშფოთებულია დაპატიმრებების გამო.

მემელი.

ბერლინი. 15 მარტი. გაზ. „აცერნალი“ იტყობინება, რომ ლიტვამ აცნობა საფრანგეთს, რომ მან მიიღო ელჩთა კონფერენციის დადგენილება მემელის შესახებ.

ელჩთა კონფერენცია.

პარიზი. 15 მარტი. ელჩთა კონფერენციამ ოთხშაბათის დილის სხდომაზე პარიზში დაადგინა მიუსაჯოს პოლონეთს ვილნოს ტერიტორია.

ჩიჩერინის ნოტა

მოსკოვი. 15 მარტი. გარეშე საქმეთა სახ. კომისარმა ჩიჩერინმა მიმართა საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის მთავრობებს ნოტით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ რუსეთის წინადადება ლიტვისათვის მემელის გადაცემის პირობების ერთად განხილვის შესახებ უყურადღებოდ იქნა დატოვებული, რითაც მოკავშირეთა მთავრობებმა დაამტკიცეს, რომ ისინი კვლავ განაგრძობენ რუსეთისადმი მტრულ განწყობილებას. ტერიტორიალური და ეკონომიური ხელშეკრულებაში რომელიც ეხება რუსეთის და მისი მოკავშირეების საარსებო ინტერესებს, რომელიც დადებული იქნება მათი მონაწილეობის გარეშე, გამოიწვევს სერიოზულ გართულებას. საბჭოთა მთავრობა მთელ პასუხისმგებლობას მოკავშირეთა მთავრობებს აკისრებს ყველა ამ ზარალისათვის, რომელიც რუსეთს მოყვა მის მონაწილეობის გარეშე მიღებულ გადაწყვეტილებით და აფრთხილებს, რომ პირველ შემთხვევისთანავე, როდესაც მოხდება ურთიერთშორის ანგარიშების გასწორება, საბჭოთა მთავრობა მოითხოვს თავის ზარალის ანაზღაურებას.

უკრაინის ნოტა

მოსკოვი. 15 მარტი. საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის მთავრობებისადმი გაგზავნილ ნოტაში უკრაინის გარეშე საქმეთა სახ. კომისარი რაკოვსკი პროტესტს აცხადებს პოლონეთის აღმოსავლეთის საზღვრების საკითხის ელჩთა საბჭოსათვის გადაცემის გამო და აღნიშნავს, რომ პოლონეთის მიერ აღმოსავლეთ-გალიციის დაკავება, სადაც მცხოვრებთა 3|4 უკრაინელებია უკრაინის თვალში ძალადობის აქტათ ითვლება. უკრაინის მთავრობა არ იცნობს არავითარ გადაწყვეტილებას აღმოსავლეთ გალიციის ბედის შესახებ, უკრაინის მონაწილეობის და თვით მცხოვრებთა დაკითხვის გარეშე მით უმეტეს არ იცნობს პოლონეთის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას აღმოსავლეთ გალიციის დროებითი ოკუპაციის მუდმივ ანექსიად გადაქცევის შესახებ.

რუსეთ. ს კომპარტიის 25 წლის თავი

მოსკოვი. 15 მარტი. კომინტერნის აღმასკომმა გამოუშვა მოწოდება, რომელიც შეეხება რუსეთის კომპარტიის 25 წლის იუბილეს. მოწოდება ეხება რა დაწვრილებით რუსეთის კომპარტიის მუშაობის იმ დროიდან, როდესაც 1904 და 1905 წლებში საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ასპარეზზე პირველად გამოვიდა რუსეთის პროლეტარიატი რევოლიუციის ცოცხალ მამოძრავებელ ძალად, აღნიშნავს:

„რუსო ამხანაგებო, თქვენი პარტია არის კომინტერნის დამაარსებელი, მისი ხელმძღვანელი პარტია მდიდარი და ნაყოფიერია, განსაკუთრებით უკანასკნელ 4—5 წლის განმავლობაში, თქვენი პარტიის გავლენა საერთაშორისო რევოლიუციონურ მუშათა მოძრაობაზე. მთელს ევროპაში არ არის ისეთი სახელმწიფო, სადაც თქვენი პარტიის გავლენას არ გამოეწვიოს კომუნისტური მოძრაობის განვითარება. შორს, ევროპის საზღვრებს იქითაც, ყველა დანარჩენ ქვეყნებშიაც დამკვიდრდა და გაძლიერდა თქვენი გავლენა. რუს ამხანაგებისაგან შეითვისა კომინტერნმა თავისი საუკეთესო ლოზუნგები და საუკეთესო რჩევა-დარიგებები. რუს ამხანაგების გამოცდილებისა და შეხედულების მიხედვით მიღებულია უმნიშვნელოვანესი რეზოლიუციები და ყოველგან მიღწეულია გამარჯვებები ჩვენ ვამაყობთ მით, რომ რუსი ამხანაგები თამაშობენ ხელმძღვანელ როლს კომინტერნში. კომინტერნი დიდად აფასებს აღმასკომის რუსი წევრების ამ სახელმძღვანელო მუშაობას და უდიდეს მნიშვნელობას აძლევს, რ. კ. პ. ცეკას რჩევებს, რუსეთის დელეგაციის მუშაობას და რუსეთის პარტიის მრავალ ცალკე წევრების მონაწილეობას კომინტერნის მუშაობაში. თქვენი პარტიის და აგრეთვე თქვენი ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ლენინის დაუვიწყარი და ძვირფასი მუშაობის აღსანიშნავად, კომინტერნის აღმასკომმა დაადგინა აირჩიოს ამხ. ლენინი საპატიო თავმჯდომარედ და დაავალოს მორიგ მსოფლიო კონგრესს მისცეს ამ დადგენილებას ხანგრძლივი ხასიათი. დასასრულ მოწოდებაში ნათქვამია.

„ძვირფასო რუსო ამხანაგებო, თქვენ დაადექით როგორც პიონერები. ნარ-ეკლიან გზას, თქვენ ღირსეულად აღმართეთ პროლეტარული რევოლიუციის დროშა. ეხლა თქვენი პარტია არის ისტორიული პროგრესის უმთავრესი იარაღი არა მარტო რუსეთში, არამედ აგრეთვე მთელს მსოფლიოში. ყველა ქვეყნის რევოლიუციონური პროლეტარიატი თქვენთან ხელი-ხელ ჩაკიდებით იბრძოლებს საბოლოო გამარჯვებამდე თქვენი ხელმძღვანელობით კომუნისტური ინტერნაციონალი დაიპყრობს მთელს მსოფლიოს. გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან მეპაირახტრეს—რუსეთის კომუნისტურ პარტიას“.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ღარიბებ მცხოვრებთა დახმარება.

მოსკოვი. 14 მარტი. შიმშილობის შედეგებთან მებრძოლმა კომიტეტმა მიანდო სახელმწიფოს სამეურნეო იარაღთა საწყობს დაეხმაროს დამშეულთა რაიონების მცხოვრებთა ღარიბეს ნაწილს სასოფლო-სამეურნეო მანქანებით და იარაღებით 50 პროც. ნაკლებ ომამდის არსებულ ფასებში.

დამშეულ რაიონების შეფობა.

მოსკოვი. 14 მარტი. შიმშილობის შედეგებთან მებრძოლ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა დახმარების გაწევის მიზნით შეუერთოს ჩუვაშის ოლქი ორლოვის გუბერნიას, და ბაშკირეთის რესპუბლიკები კურსკის გუბერნიას და თათრების რესპუბლიკის ორი კანტონი ბელორუსეთს.

სტუდენტთა მანიფესტაცია ოდესაში.

ხარკოვი. 14 მარტი. 10 მარტს ოდესაში პროლეტარულ სტუდენტობის მანიფესტაცია გამოიხატა გრანდიოზულ პოლიტიკურ მანიფესტაციაში, პარტიის საგუბერნიო კომიტეტის შენობასთან, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ 16.000 სტუდენტები და 150 პროფესორი. მანიფესტანტებმა ოვაციები გაუმართეს კომინტერნს და მის სულის ჩამდგმელს რუსეთის კომუნისტურ პარტიას. აქვე გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: „მეცნიერების 15.000 წითელ არმიელები სამუდამოდ გამზადებულნი კომინტერნის პირველ განკარგულებისთანავე გაემართებიან მსოფლიო ბურჟუაზიასთან ბრძოლაში. გერმანიის წარმომადგენლობის შენობასთან ერთმა ორატორმა სთქვა, რომ პროლეტარული სტუდენტობა მთელი სული და გულით პროტესტს გამოსთქვამს რურის ოკუპაციის წინააღმდეგ და აღელვებულია ღრმად გერმანიის მუშების მდგომარეობით, რომლებიც იტანჯებიან ორ გვარ ძალდატანებისაგან, საზღვარგარეთის და თავის ბურჟუაზიის ულლისაგან. მანიფესტანტები თხოულობდენ გადასცენ გერმანიის კომპარტიას, რომ უძლეველი ძალები რუსეთის მუშებისა პირველ დაძახებისთანავე გაემართებიან გერმანიის მუშების დასახმარებლათ. გერმანიის წარმომადგენელმა საპასუხისმგებლო სიტყვაში აღნიშნა, რომ გერმანიის ხალხს ახსოვს ის. რომ პირველი გადამწყვეტი სიტყვა რურის ოკუპაციის წინააღმდეგ სთქვა საბჭოთა რუსეთმა და ორივე ხალხის მომავალი მოითხოვს მათ შორის რაც შეიძლება მეტ მჭიდრო კავშირს.

ანგორის წარმომადგენლობის შენობასთან მანიფესტანტებმა ძმური სალამით მიმართეს ოსმალეთის ხალხს და გამოიტანეს პროტესტი ოსმალეთის კომუნისტებისა და მუშების დატყვევების წინააღმდეგ. დემონსტრაციამ გასტანა ღამე დიდხანს და დიდი შთაბეჭდილება დასტოვა საზღვარგარეთელ წარმომადგენლებზე.

შვეციის კომუნისტები რუსეთში.

მოსკოვი. 14 მარტი. რუსეთში გადმოსახლებულ შვეციის კომუნისტებს დაეთმო კარელიის კომუნის სასოფლო-სამეურნეო მამული, რომელიც წინეთ ოლონეცის ერობას ეკუთვნოდა.

რუსეთის მანუფაქტურა ამურზე.

მოსკოვი 14 მარტი. საბჭოთა რუსეთიდან ბლაგოვეშჩენსკში მოსული მანუფაქტურა ძალიან სწრაფათ საღდება. პირველმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ რუსეთის მანუფაქტურის რეალიზაცია ამურზე განუსაზღვრელ რაოდენობით შეუძლია.

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

მოსკოვი. 13 მარტი. გუშინდელი დღის განმავლობაში მარჯვენა ფეხის და მარჯვენა ხელის სისუსტის გარდა ვლადიმირ ილიჩს დაეტყო მეტყველების მცირეოდენი შეშლა. დღეს ხელი და ფეხი იმავე მდგომარეობაშია, ვლადიმირ ილიჩის მეტყველების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ტემპერატურა—37,1. მაჯისცემა წუთში—100, სწორი.

13 მარტი, დღის 3 საათი.

პროფესორები: **მინკოვსკი, ფერსტერი, კრამერი.**

პრივატდოცენტი: **კოჟევნიკოვი.**

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: **სემაშკო.**

მოსკოვი. 14 მარტი. მეტყველების დაბრკოლება, მარჯვენა ხელის და მარჯვენა ფეხის სისუსტე იმავე მდგომარეობაშია. ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობა გამოკეთდა. ტემპერატურა 37. მაჯისცემა წუთში—90, სწორი, კარგი გავსებით.

14 მარტი, დღის 2 საათი.

პროფესორები: **მინკოვსკი, ფერსტერი, კრამერი.**

პრივატდოცენტი: **კოჟევნიკოვი.**

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: **სემაშკო.**

მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა

მოსკოვი. 14 მარტი. რუსეთის კომპარტიის 25 წლის თავის აღსანიშნავათ 12 მარტს შესდგა მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა მუშათა და წითელ არმიელთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ამხ. ლუნაჩარსკიმ, რომელიც გამოვიდა ამ სხდომაზე იუბილესათვის მიძღვნილ ვრცელ სიტყვით, სთქვა რომ რუსეთის კომპარტიამ ითამაშა, თამაშობს და კიდევ ითამაშებს დიდ მნიშვნელოვან როლს. მას წილად ხვდა დაასრულოს რევოლიუცია ევროპის ყველაზე უფრო დიდ და იმავე დროს ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ქვეყანაში. რუსეთის კომპარტიის განვითარების ისტორიულ მიმოხილვის შემდეგ, ლუნაჩარსკი, მიუთითებს რა პროლეტარულ რევოლიუციის უდიდეს მიხწევებზე, ამბობს: „არასოდეს კომუნისტური პარტია არ სარგებლობდა გლეხობის ისეთ მასიურ ნდობით, საბჭოთა მთავრობა არასოდეს არ თამაშობდა ისეთ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო როლს, როგორც ეხლა, და იმავე დროს ჩვენი მეურნეობა არასოდეს არ ყოფილა იმდენათ დამაკმაყოფილებელი, როგორც ამ მომენტში“.

თავის სიტყვას ლუნაჩარსკი ათავებს სიტყვებით: „ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი კომუნისტური პარტიის გავლენა ფართოვდება ინგლისსა და ამერიკამდე. ნაწილობრივ მისი კარნახით მოქმედებენ და ორგანიზაციებს ქმნიან ევროპის პროლეტარიატის მასები. ყველამ იცის, რომ შრომისა და კაპიტალის შორის ბრძოლის ფართო ფრონტზე ყველაზე უფრო ბრწყინვალე ადგილი უჭირავს რუსეთს.

აი ამიტომ ამ დღეს ხმამაღლა გაისმის რუსეთის დიდ კომუნისტურ პარტიის ქუხილისებური ურა“.

ლუნაჩარსკის შემდეგ რიგს გარეშე განცხადებით გამოვიდა ამხ. რიკოვ რომელმაც გადასცა კრებას მთავრ ბის ცნობის შინაარსი ილიჩის ჯ მრთელობის მდგომარეობის შესახ. მოსკოვის საბჭოს პლენუმმა პასუხ მიმართა ილიჩს შემდეგი მისალ ბით; „ძვირფასო ამხანაგებო და მ ლადო ვლადიმერ ილიჩ, მოსკოვ საბჭოს პლენუმი მოსკოვის მუშა და წითელარმიელთა წარმომადგ ლებთან ერთად რუსეთის კომპარტ ის იუბილეს დღეს გიგზავნის შენ პ რველ ბოლშევიკს, მასწავლებელს ხელმძღვანელს თავის ამხანაგურ ლამს. შენი მოძღვრება, შენი მცნ —ჩვენი პროლეტარული მიზანია რუსეთის კომპარტიის და მუშა კლასის გზა. ძვირფასო ილიჩ მო რე ჩვენთვის ასე საჭირო შენს ჯ მრთელობას.

ამხ. სკვარცოვის მოხსენების შ დეგ რუსეთის კომპარტიის ეტაპ შესახებ, მოსკოვის საბჭომ დაად წარუდგინოს ცეკას და რუსეთის პარტიის მოსკოვის კომიტეტს ად სი, რომელშიც ნათქვამია: „რუს კომპარტიიის ცენტრალურ კომი მა მჭიდროთ შემოკრიბა თავის გ შემო რუსეთის მუშები და გაანთ სუფლა ქვეყანა ეკონომიურ და პ ლიტიკურ მონობისაგან. რუსეთის კ მუნისტური პარტია არის კანდ რომელსაც დიდის იმედით და ა თოვანებით შეჰყურებს მთელი დ რული კაცობრიობა.

სხდომის ბოლოს ამხ. რიკოვ კას და მოსკოვის კომიტეტის ლით მადლობას უძღვნის მოს საბჭოს პლენუმს ადრესების მი სათვის და ამბობს, რომ ეს ად არის კომუნისტურ პარტიასა და კოვის მუშათა კლასის შორის ბულ ძმობის და ერთსულოვნებ მომხმარებელი.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია

გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ს ა. წ. 4 მარტის ნომერში მოთავსებულია ამხ. პართენოვის წერილი ამიერკავკასიაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ორგანიზაციის შესახებ. სტატიის ავტორი უმთავრესად მსჯელობს მეცხვარეთა საზოგადოების „მწყემსი“-ს და „წარმო-კავშირის“ მატერიალურ მდგომარეობისა და საქართველოს კოოპერატიული ცენტრის „ცეკავშირის“ მოხსენებულ საზოგადოებებთან დამოკიდებულების შესახებ.

ავტორი იწყებს იქიდან, რომ პარტიის სრულიად რუსეთის ყრილობამ უცილობლად დაადგინა, რომ დღევანდელი მომენტის უპირველეს ამოცანას სასოფლო-მეურნეობის განვითარება შეადგენს და ამიტომ საჭიროა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებისათვის ხელის შეწყობაო და სხვა.

სტატიაში არ მოიპოვება არც ერთი ახალი აზრი კოოპერაციის საორგანიზაციო სტრუქტურის საკითხის შესახებ. და ეს მისახვედრიც არის. ამხ. პართენოვი არ იცნობს საქართველოში კოოპერატიულ მოძრაობას, ამიტომ ის ისეთ ნახტომებს აკეთებს და შეცდომებს უშვებს, რომელნიც ახასიათებენ იმათ, ვინც ახლად იწყებს ამ საკითხის შესწავლას.

კოოპერატიული მოძრაობის ცენტრი საქართველოში „ცეკავშირი“ არის, რომელიც, ავად თუ კარგად, ადგილობრივი კოოპერაციის ყველა დარგს აერთიანებს. მარტო სარაიონო კავშირთა რიცხვი, რომლებიც ცენტრალურ კავშირში შედიან ოცამდე ითვლება. ყველა ესენი ასრულებენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფუნქციებს როგორც სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა გასაღების, ისე მწარმოებელთათვის იარაღის და მანქანების მოტანის საქმეში. კავშირები აგროვებენ აბრეშუმის პარკს, კაკალს, დაფნის ფოთოლს, ღვინოს და სხვა.

კახეთის კოოპერატივთა კავშირში შედიან დაწყებითი კოოპერატივებიც შერეული ფუნქციებით, რაც აიხსნება ჩვენი სოფლის ეკონომიურად ჩამორჩენის მიზეზით.

ამხ. პართენოვს არ უნდა ანგარიში გაეწიოს ადგილობრივი პირობების ასეთ თავისებურებას. ჩვენი სინამდვილე იქითკენ მიგვერეკება ჩვენ, რომ ინტეგრალიური კოოპერაციის მიზანშეწონილება ვიცნათ. საქართველოში კოოპერაცია თავიდანვე სწორედ ამ გზით ვითარდებოდა. ჩვენ არ გვაქვს კერძო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების კერძო კავშირები. ის კი, რაც ამხ. პართენოვს ამოუჩენია „მწყემსისა“ და „წარმო-კავშირის“ სახით, ეს კოოპერაცია კი არა, არამედ კოოპერატიული ორგანიზაციის უბრალო მზგავსებისაც კი უარყოფაა. ვინც ცოტად თუ ბევრად იცნობს საქართველოს კოოპერაციას, არ შეიძლება დაეთანხმოს იმას, რომ „მწყემსი“ და „წარმო-კავშირი“ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრად გადააქციოს.

ჩვენი მომხმარებელთა უღარიბესი ნაწილი (მუშები. ხელოსნები და გლეხები) შეკავშირებული არიან კოოპერატივებში, რომელნიც „ცეკავშირში“ შედიან. „მწყემსი“ უკანასკნელ დრომდე და „წარმო-კავშირი“ დღესაც გალატაკებულ თავადების და აზნაურების ორგანიზაციებს წარმოადგენდენ. „წარმო-კავშირი“, მაგალითად, აერთიანებდა მეხილეთა ისეთ ორგანიზაციებს, რომელთა მეთაურები აზნაურები იყვნენ და რომელნიც მწარმოებლებთან უშუალოდ არ იყვნენ დაკავშირებული. ამ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ მენშევიკური მთავრობის დროს საქართველოს ინსტრუქტორთა ყრილობა არ ცნობდა დაწყებითი კოოპერატივებათ. „წარმო-კავშირის“ წევრები დაწყებითი კოოპერატივების სახით, მაგალითად გორის მაზრაში, ხილს ბაზარზე ყიდულობდენ და შემდეგ, „წარმო-კავშირის“ გარეშე, სპეკულიანტების საშუალებით ჰყიდდენ. „წარმო-კავშირს“ ასეთ პირობებში რაღა დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ ისიც თავის რაიონში, ე. ი. თბილისში, სპეკულიაციას ჩაჰკროდა გულში. თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ „წარმო-კავშირი“ არავის არ აკავშირებს და არავითარ კოოპერატიულ მუშაობას არ ეწევა.

რაც შეეხება „მწყემს“-ს, ის თვითონ იმიჯნებოდა კოოპერატიული პრინციპების გავლენისაგან და ყოველ ღონეს ხმარობდა მუშაობა ეწარმოებია საზოგადო-კოოპერატიული კავშირის „ცეკავშირისაგან“ დამოუკიდებლად. ასეთი „დამოუკიდებლობა“ ხსენებული საზოგადოების გამგეობას საშუალებას აძლევდა საქმის გარიგების დროს ყოველგვარი კომბინაციები გაეკეთებია.

გამგეობის ერთი წევრთაგანი კიდევ გასული წლის ზაფხულზე გაემგზავრა საზღვარგარეთ და თან მატყლი წაიღო, რაც მეცხვარეთათვის საზარალო ფასებში გაჰყიდა. ის თბილისში უნდა დაბრუნებულიყო ორი თვის განმავლობაში, მაგრამ დღემდისაც იქ ცხოვრობს. აგერ თითქმის რვა თვე გადის, რომ მასზე ითვლება რვა ათასი მანეთი ოქროთი. ამის და მიუხედავათ ის „მწყემსის“ გამგეობის წევრად ითვლება და საზოგადოების სალაროდან უკანასკნელ დრომდე ჯამაგირს იღებდა.

სასურსათო კომისართან დადებულ ხელშეკრულების ძალით, „მწყემსის“ გამგეობამ დაიკისრა მატყლის დამზადება საშუალოდ 6 მან. ფუთი. ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში სასურსათო კომისარიატის კასიდან მიეცა 80 ათას მანეთზე მეტი ოქროთი. მატყლის ღირებულების ნახევარი გამგეობას დაუყონებლივ მეცხვარეთათვის უნდა მიეცა, ხოლო მეორე ნახევარი კი—საქონლის გასაღების შემდეგ. მატყლის თბილისში ჩამოსატანი ხარჯები, მათ მიერვე ერთმანეთად ნაანგარიშევი ფუთზე, სასურსათო კომისრისაგან ეძლეოდათ „მწყემსის“ გამგეობის ცნობებით, იმათ დაუმზადებიათ 25 ათასი ფუთი მატყლი, მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ სულ მხოლოდ 17 ფუთამდე დაუმზადებიათ.

ამ წესით გამგეობამ ზედმეტი წაიღო (ფუთი რომ 3 მან. ვიანგარიშოთ ოქროთი საქონლის გაყიდვამდე) 20 ათას მანეთამდე. წარმოადგინეს 17 ათასი ფუთი მატყლი. თბილისში ჩამოსატანი ხარჯები—24 ათასი მან. ოქროთი, რომლიდანაც მუშურ-გლეხურმა ინსპექციამ დაამტკიცა მხოლოდ 12 ათასი მან. დანარჩენი თანხის საბუთები უკან დაუბრუნეს. ამავე დროს „მწყემსის“ გამგეობა მეცხვარეთა შორის მთავრობის წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდა, რომელსაც ვითომ არ უნდოდა მიეკა მათთვის ხვედრი ფული. ჯერ კიდევ საზოგადო კრების მოწვევამდე გამოირკვა, რომ სასურსათო კომისარიატის მიერ გაცემული ფული მეცხვარეებამდე არ აღწევდა. ფულის მაგიერ მეცხვარეებს საწყობიდ 6 საქონელს აძლევდნენ, საოცარ ძვირ ფასებში.

ამხ. პართენოვი თუ ფიქრობს, რომ ასეთ გამგეობას შეუძლია განავითაროს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, რა თქმა უნდა, დიდად სცდება.

ვინმე დავითაშვილს „მწყემსი“-ს კასიდან მიაქვს 255 მილ. მან. კავკავში სიმინდის სასყიდლად, რომ შემდეგ მატყლზე გადასცვალოს. სწორედ ამავე მიზნისათვის სასურსათო კომისარიატი აძლევს „მწყემსს“ 15 ვაგონამდე პურს მატყლის დასამზადებლად. ამ პურიდან გამგეობამ მოიხმარა მხოლოდ ორი ვაგონი. ხსენებულ დავითაშვილს არც სიმინდი შეუძენია და არც ფული დაუბრუნებია საზოგადოებისათვის. გამგეობის ერთ წევრთაგანს კასსიდან ურთღეროთ მიაქვს 90 მილ. მან. და ამ ფულს უკან აბრუნებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამის გამო საზოგადოების საბჭომ აურზაური ასტეხა. გამგეობას საერთოდ უმჯობესად მიაჩნია საქმე დაიჭიროს კერძო პირებთან და არა კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებთან.

ყოველივე ეს აღნიშნულია სარევიზიო კომისიის მოხსენებაში საზოგადო ყრილობაზე, რომელზეც მეცხვარეებმა მოითხოვეს, რომ გამგეობის წევრთა წინააღმდეგ მიღებულ იქნეს საჭირო ზომები.

ერთი საზოგადო კრება დანიშნული იყო 23 იანვრისათვის, რომელიც გამგეობამ გადადვა ქვორუმის უქონლობის გამო. სასურსათო კომისარი არ შეიძლება დაინტერესებული არ ყოფილიყო იმაში, რომ მეცხვარეებთან ერთად გამგეობის მოხსენება მოესმინა.

მეორე კრება, რომელიც 7 თებერვლისთვის იყო დანიშნული, სრულიად უმიზეზოდ გადადებულ იქნა გამგეობის მიერ იმ მიზნით, რომ საზოგადო კრების მოწვევა შემოდგომამდე გაეგრძელებიათ (გაზაფხულიდან შემოდგომამდე მეცხვარეებს არ აქვთ შეძლება კრებას დაესწრონ).

„ცეკავშირის“ წინადადებაზე, რომ საზოგადო კრება მოეწვიათ, „მწყემსმა“ უპასუხა ცენტრალური კავშირის პრესტიჟისათვის შეურაცხმყოფელი კილოთი.

იმ ბოროტ-მოქმედებამ, რაც თვით საზოგადოებაში ხდებოდა, ერთი მხრით, და მეორეთი გამგეობის გაჯიუტებამ, რომ წევრთათვის ანგარიში არ მიეცა, აიძულა სასურსათო კომისარიატი, რომ ადმინისტრაციული ზეგავლენისთვის მიემართა.

გამგეობის ორმა წევრმა ციხეში ამოჰყო თავი, გამგეობის მესამე წევრი მოქალაქე აფხაზი თავიდან იხსნის პასუხისმგებლობას დანარჩენ წევრთა მოქმედებისათვის მით, რომ განცხადება შეაქვს თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

ეს გარემოება გამომაფხიზლებელ შთაბეჭდილებას ახდენს მთელ საზოგადოებაზე. დროებითი გამგეობა, რომელიც საბჭოსა და სარევიზიო კომისიის მიერ არის შედგენილი, იწვევს საზოგადო კრებას, რომლის გახსნის წინ სასურსათო კომისარი გამგეობის დატუსაღებულ წევრებს ანთავისუფლებს, რომ მათ მეცხვარეებს ანგარიში მისცენ. საზოგადო კრებაზე იშლება სურათი იმ საქმეთა, რომელნიც საზარალოდ გაუკეთებია გამგეობას; აშკარავდება საზოგადოების მოქმედებაში კოოპერატიული პრინციპების უარისყოფა, ბუღალტერიაში ყალბი დოკუმენტების არსებობა და სხვა და სხვა.

ყოველივე ამის მიხედვით, საზოგადო კრება გამგეობას უნდობლობას უცხადებს და ახალ გამგეობას ირჩევს.

აქედან ცხადია, თუ ვის იცავს თავის სტატიაში ამხ. პართენოვი. ყოველივე მოხსენებულისაგან ისიც ცხადია, რომ სასურსათო კომისრის მოქმედება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წინააღმდეგ კი არ ყოფილა მიმართული, როგორც ეს ჩვენი ავტორის სტატიიდან სჩანს, არამედ იმათ წინააღმდეგ, ვინც კოოპერატიულ იდეას ღუპავს. იმის მაგივრად, რომ ადგილობრივ კოოპერატორებთან თათბირი გაემართა, ამხ. პართენოვი პირდაპირ „მწყემ“-ს და „წარმო-კავშირს“ მოელაპარაკა და მხოლოდ შემდეგ გამოცხადდა ერქომაიშვილთან და მიწათ-მოქმედების კომისრის მოადგილე კანდელაკთან მუქარით.

ის 90 ათასი მანეთი ოქროთი, რაც საბჭოთა მთავრობამ მისცა „ცეკავშირს“ კოოპერაციის აღსადგენათ, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა დახარჯულიყო იმ ორგანიზაციების შესაწევად, რომელთაც ვერ გაამართლეს თავიანთი დანიშნულება. ეს საშუალება ხმარდება კოოპერატიული მოძრაობის აღდგენას და არა სპეკულიანტურ დაწესებულებათ, რომელნიც ხალხის უმონაწილეოდ არიან შექმნილი.

საქ. მიწათ-მოქმედების კომისრის მოადგილესაც, რა თქმა უნდა, საქმე უნდა დაეჭირა საქართველოს კოოპერატიულ კავშირთან და არა „მწყემსთან“ ან „წარმო-კავშირთან“.

„მოხდა ყრილობა ამხ. „ბირლიკის“ (მეცხვარეთა) რწმუნებულების, სწერს ამხ. პართენოვი, რომელზედაც მიწათ მოქმედების კომისრის მოადგილე ამხ. კანდელაკი და სასურსათო კომისარი ერქომაიშვილი (იგივე „ცეკავშირის“ გამგეობის წევრი) იმ კომისარიატთა სახელით, რომელთა მეთაურები ისინი არიან, მოითხოვენ, რომ მეცხვარეთა რწმუნებულთა ყრილობამ გამოიტანოს დადგენილება „ცეკავშირიდან“ გაერთიანების შესახებაო“.

კატეგორიულ პროტესტს ვაცხადებ ამის გამო და ვამბობ, რომ მე ყრილობისაგან არა თუ არ მომითხოვია „ცეკავშირთან“ გაერთიანება, არამედ სულაც არ ვყოფილვარ „ბირლიკის“ წევრთა კრებაზე. რისთვის დასჭირდა ამხ. პართენოვს აშკარა უსაფუძვლო და სიმართლეს სრულიად მოკლებული ინფორმაციის გავრცელება?

ის მაინცა და მაინც იმ იდეას ანვითარებდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის აღმშენებლობისათვის, რომ სხვადასხვა-გვარი კოოპერაციის კავშირები მოეწყოსო, რაც ინტეგრალური კოოპერაციის აღმშენებლობის პრინციპს ეწინააღმდეგება.

მომენტი თხოულობს არა „ცეკავშირთან“ გაერთიანებას, არამედ ისეთი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნას, რომლებიც დააკმაყოფილებენ სოფლის მწარმოებ მაგრამ იმოქმედებენ სრულიად ქართველოს კოოპერატიულ ც თან კონტაქტით და მისი ხელ ნელობით.

პარტიის ამ. კავკ. საოლქო კ ტეტის თეზისები, რომლებსაც პართენოვი იმოწმებს და არ შე არ დაიმოწმოს, რომელნიც მო ბულია გაზეთ „ზარია ვოსტ იმ ნომერში, სადაც ამხ. პარ წერილიცაა მოთავსებული, ეს სები ინტეგრაციის სასარგ ლაპარაკობენ.

მე-5 მუხლში ნათქვამია, რომ სოფლო-სამეურნეო და სამრ კოოპერაციის კერძო, დამოუკ კავშირთა შექმნა ზედმეტათაა ულიო“, ნუ თუ ეს ამხ. პარ სასარგებლოთ ლაპარაკობს, ან ლება ის ვერ მიხვდა ამ მუხლის

ამხ. პართენოვმა ხომ ყველ რები ჯამოგვიჭედა სასოფლო-ს ნეო კოოპერაციის გამოყოფ კერძო, დამოუკიდებელი კავ საჭიროების მტკიცებით. მან გ აუხვია მ. გ. პ. დადგენილებას, მელმაც პრინციპიალურად მიზ წონილად აღიარა კოოპერაციის ტეგრაცია, რის მიხედვითაც შავებულ იქნა ზემოხსენებული სები.

ამხ. პართენოვი ამ თეზისებ ნააღმდეგ მიდის, მაგრამ მან ვრებაში ვერ გაატარა. აქ ის ხა თეზისებს, რომელნიც შე ბულია ადგილობრივ პირობებ ნახმად.

ამისათვის იყო, რომ ამხ. ნოვმა თავის სტატიაში გამო რა იმათ წინააღმდეგ, ვინც კომიტეტის დადგენილებას ცხოვრებაში.

ა. ერქომაიშვ

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

სახალხო განათლება სამხრეთ-ოსეთში. სამხრეთ-ოსეთის სახალხო განათლების კომისარიატის მოხსენების შემდეგ სამხრეთ-ოსეთის კომპარტიის მე 4 კონფერენციის მიერ შემოწმებულ იქმნა ფაქტი ოლქის სკოლების სამწუხარო მდგომარეობისა. ბევრ რაიონებში შემჩნეულია სრული უქონლობა შესაფერ შენობისა ადგილობრივ მცხოვრებთან განადგურებასა და სილატაკეებთან ერთად, რაც გამოწვეულია 1920 წ. მენშევიკური დარბევით არ მოიპოვება საკმაო კადრი სკოლის მუშაკთა, რაც აიხსნება აგრეთვე უკანასკნელის ქონებრივი დაუკმაყოფილებლობით. კონფერენციამ იმედი გამოსთქვა, რომ შრომის სკოლის დაარსების საქმეში, რომელიც სახალხო განათლების კომისარიატის მიერ აქამდე სუსტად სწარმოებდა, აქტიურ როლს შეასრულებს კომკავშირი რომელიც იძლევა პირობას მიმართოს ამ მხრივ მთელი თავის ძალღონე. თავის მხრივ სახალხო განათლების კომისარიატი უნდა შევიდეს მტკიცე კავშირში საოლქო კომიტეტთან და სარაიონო ორგანიზაციებთან და მიაქციოს მთავარი ყურადღება წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლებს.

აფხაზეთი.

ბრძოლა ეპიდემიასთან. სახალხო კომისართა საბჭომ, მოისმინა რა მოხსენება აფხაზეთში გავრცელებულ გადამდებ სნეულებათა: პარტახტიანი სახადის და ყვავილის წინააღმდეგ საბრძოლველ ზომების შესახებ, დაადგინა: (გამოცხადდეს აფხაზეთი არასაიმედოთ გავარცელებულ სახადისა და ყვავილის გამო) ყველაზე უფრო საშიშარ ადგილებში სასწრაფოთ იქნას შედგენილი ეპიდემიასთან მებრძოლი რაზმები; ეპიდემიასთან ბრძოლის ფრონტზე წარჩინებული მუშაკნი წარდგენილ იქნან ჯილდოს მისაღებად; გაცემულ იქნას დრანდაში გადამდებ სნეულებათა ბარაკის დასაარსებლად 75 მილ. მან. და სხვა. ტფილისში ყვავილის დეტრიტის შესასყიდად გადადებული იქნეს 200 მილ. მ. ჯანმთელობის სახალხო კომისარიატისაგან მიღებულია პირველი პარტია ყვავილის ახალი დეტრიტის და სხვა შრატების, რაც აფხაზეთის საჭიროებისათვის ეხლა უკვე საკმაო რაოდენობით მოიპოვება. ახლო მომავალში იმედი არის დეტრიტის ახალი პარტიის მიღებისა. საერთოდ აფხაზეთისთვის სხვა და სხვა საექიმო და დასაცავ შრატის სისტემატიურად მიწოდების საქმე მოწესრიგებულად უნდა ჩაითვალოს.

ტფილისის ალმ სკომის პლენუმი

(10 მარტის სხდომა).

პრეზიდიუმის მოქმედება.

(ამხ. მესხის მოხსენება).

განახლებულ აღმასრულებელ კომიტეტის ერთერთი უმთავრესი ამოცანა იყო მაზრის და ქალაქის შეერთების გატარება. ამ შეერთების ტეხნიკურათ განხორციელებისათვის შექმნილ იქნა სპეციალური კომისია, რომელიც ენერგიულად გაეცნო საკითხს და წარუდგინა პრეზიდიუმს შესაფერისი მოხსენება, რომელიც მიღებულ იქნა მცირე შესწორებით. ფაქტიურ შეერთებას არ გამოუწვევია არავითარი არევ-დარევა მუშაობაში.

შეერთების გატარების დროს ნათლად გამოირკვა შტატების შემცირების შესაძლებლობა აპარატის გამარტივების გამო და ყოფ. ალმასკომის 7133 თანამშრომელთა მაგიერ გაერთიანებულ ალმასკომმა დასტოვა 6743 კაცი, შეამოკლა რა ამ რიგათ შტატი 5,5 პროცენტით. მაზრასთან ერთად შემცირება უდრის 12-15 პროც.

ალმასკომს ქონდა 8 განყოფილება და ყველა ეს განყოფილებები, მომარაგების განყოფილების გარდა, რომელიც ვერ ასრულებდა მასზე დაკისრებულ ამოცანებს, დატოვებულ იქნა. ამას გარდა მიწის რეფორმის უდიდეს მნიშვნელობის გამო მიწის საქმე განყოფილება გამოყოფილ იქნა დამოუკიდებელ განყოფილებათ მისი ფუნქციების გაფართოვებით. და სავსებით გადატანილია სამაზრო ალმასკომიდან სასურსათო განყოფილება.

მიმდინარე ღონისძიებათა შორის საჭიროა ხაზი გაუსვათ შემდეგს: 1) დაევალა ყველა განყოფილებებს საჩქაროთ გამოიმუშავონ 23 წლის ბიუჯეტი და მუშაობის გეგმა. 2) მიწის განყოფილებას გადაეცა 200 მილიონი მან. მაზრაში აგრარულ პოლიტიკის გასატარებლად. 3) წყალსადენს რომელსაც ესაჭიროება სერიოზული შეკეთება, გადაეცა 3 მილიარდ მანეთამდე. 4) ელექტრონით განათების გასაუმჯობესებლად ნაყიდია მანქანა „ატლას-დიზელ“ 120 ცხენის ძალიანი. 5) მიეცა წინადადება ტრამვაის დირექციას საჩქაროთ გამოიყენოს საზღვარ გარეთიდან მიღებული შეკვეთა. შეაკეთოს ვაგონები და გახსნას მიმოსვლა, ყველა ხაზებზე, რომ ტარიფის გაუდიდებლათ დაიფაროს დეფიციტი მოგზაურთა რიცხვის გამრავლების გზით. 6) მიქცეულია სერიოზული ყურადღება მილიციონერთა მდგომარეობის გაუმჯობესობაზე. მათთვის საზღვარ გარეთიდან მიღებულ ტანთსაცმელის გამოსასყიდავათ გადადებულია 4 მილიარდ მ. 7) გამორკვეულია და განაწილებულია სატრახტირო გადასახადი საერთო ჯამით 50,000 მან. ოქროთი, რომლის 50 პროც. განზრახულია გადაიდოს მიმდინარე აღმშენებლობითი მუშაობის საჭიროებისათვის. გააკეთა რა კომუნალურ წარმოებათა იანვრის და თებერვლის განმავლობაში მოქმედების მიმოხილვა, ამხ. მესხი გადავიდა 23 წლის მოქმედების გეგმაზე, რომელიც გამოიხატება შემდეგში.

საერთო გეგმა მდებარეობს 1923 წლისათვის მტკიცე ბიუჯეტის და ყველა განყოფილებების მტკიცე გეგმის გამომუშავებაში.

საბინაო პოლიტიკა. საბინაო საკითხი თბილისში მეტად გამწვავებულია. 1 ოთახზე საშუალოდ მოდის 2,6 სული. იმავე დროს სახლების აღმშენებლობა იმპერიალისტურ ომის შემდეგ სრულიად შეჩერდა. ალმასკომი საბინაო საკითხის მოსაგვარებლად ერთ ერთი რაციონალურ ზომათ სთვლის ხელი შეუწყოს სახლების აღმშენებლობას. ამ მიზნით ალმასკომმა დიდი დახმარება აღმოუჩინა ცენტრალურ საალმშენებლო განყოფილებას და აარსებს ფედერალურ-კომუნალურ საიპოთეკო ბანკს.

მიმოხვლის გასაუმჯობესებლად განზრახულია ქალაქის ქუჩების, სოფლის გზების, ქალაქის სახლების და ავლაბრის 1 და 2 ხიდების შეკეთება.

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. თბილისი ყოველთვის იყო საინფექციო ავათმყოფობის ბუდე და ზაფხულის მოახლოვების გამო არსებობს ეპიდემიის განვითარების საშიშროება, ამიტომ განზრახულია თბილისის და მისი მაზრის სანიტარულ მდგომარეობაში მოყვანა, მიღებულია ზომები მოსახლეობის აბანოებით სარგებლობის გასაუმჯობესებლად. განზრახულია მოეწყოს ტალახის სამკურნალო.

სახალხო განათლების დარგში. განზრახულია თბილისის და მისი მაზრის სახალხო განათლების მთელი საქმე მიენდოს სახალხო განათლების განყოფილებას, გადიდებულ იქნას სასწავლებელთა რიცხვი, წიგნთ-საცავები და სამკითხველოები ემსახურებოდეს უფრო ფართო მასას და სხვ.

საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დაცვის დარგში. განზრახულია მილიციის განსაკუთრებით სისხლის სამართლის მილიციის გაჯანსაღება და მის შემადგენლობის გაწმენდა.

ქალაქის წარმოებები. ტრამვაის შესახებ განზრახულია გადიდდეს ვაგონების რიცხვი და გაიხსნას მიმოსვლა ყველა ხაზებზე. ელექტრონით განათების დარგში განზრახულია ყველა მანქანების კაპიტალური შეკეთება. სასაკლაოს ქალაქთან ტრამვაის ხაზით შეერთების შემდეგ უფრო გაცხოველდება სასაკლაოს მოქმედება.

საფინანსო მეურნეობის დარგში. განზრახულია ქალაქის მეურნეობის ყოველგვარ დარგში ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გატარება, ოქროს ანგარიშზე გადასვლა და სხვა.

სოფლის და ქალაქის ურთიერთობის გაფართოვების მიზნით განზრახულია მუშაობის გაძლიერება კულტურულ ფრონტზე და საქონლის გაცვლა-გამოცვლის სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

მოისმინა რა მოხსენება, ალმასკომმა დაადგინა საორგანიზაციო ღონისძიებანი დაამტკიცოს და 23 წლ. გეგმა და ამოცანები მოიწონოს.

ზემო-ავჭალის სადგური

(ამხ. ღლონტის მოხსენება).

1922 წლის 26 მაისი წარმოადგენს ისტორიულ დატას სამეურნეო ცხოვრებაში არა მარტო თბილისის, არამედ მთელი საქართველოს და ამიერ-კავკასიის. ამ დღეს ალმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა შექმნას ტეხნიკური კომისია ზემო ავჭალაში ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის მოსაწყობათ. ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის მომწყობ კომისიის პირველსავე სხდომაზე გადაწყდა შეიქნას ფონდი სადგურის ასაშენებლათ და ამისათვის ქალაქის ალმასკომის სახსარიდან უნდა გადადებულიყო ყოველთვიურათ ივნისში 30 მილ. მან, ივლისში 40 მილ. მან. და 1 აგვისტოდან 50 მილ. მან. ამას გარდა გადაწყვეტილი იყო 1 მილ. ოქროს მანეთის საობლიგაციო სესხის გამოშვება. არ დაკმაყოფილდა რა ამით ალმასკომმა აღძრა შუამდგომლობა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა მას გადაეცა სადგურის საჭიროებისათვის იმ თანხის 30 პროც., რომელიც ეკუთვნის მას საზოგადოება „ჩემო“-საგან 2 წლის განმავლობაში სულ 600 ათასი მანეთი ოქროთი, შუამდგომლობა ეს დაკმაყოფილებულ იქნა. შემდეგ ქალ. ტფილისში სადგურის რაიონში შეკრებილ იქნა ტვირთზიდვის გადასასადი და დეკემბრის დასასრულს დაიწყო სამოქალაქო გადასახადის აკრეფა. ამ რიგათ ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის მომწყობ კომისიას ქონდა შემდეგი 4 შემოსავლის წყარო, რომლებიდანაც მიიღო: 1) ქალ. ალმასკომი—12.369 მან. ოქროთი, 2) ტვირთზიდვის გადასახადი—74.213 მან. ოქრ. 3) სამოქალაქო გადასახადი—50.550 მანეთი ოქროთი 4) „ჩემო“—98.351 მანეთი ოქროთი და ამას გარდა შემოწირულების სახეთ 214 მან. ოქრ. სულ შემოვიდა 235,698 მან. ოქრ. რაც შეეხება გასავალს ის გამოიხატება შემდეგ რიცხვებში ოქრ. მან.: ივლისი 2902 მან., აგვისტო 7511 მან., სექტემბერი 13.244 მ., ოქტომბერი 15.359 მ., ნოემბერი—17.267 მანეთი ოქროთი დეკემბერი 15 371 მანეთი, იანვარი 9740 მან. და თებერვალი 16.416 მ. სულ დახარჯულია 97 814 მან. სამუშაო ტეხნიკური მოწყობილობა და სხვა მასალა, როგორც მაგალითად 1280 ფუთი დინამიტი, რამოდენიმე ყაზარმის შენობები, ლიანდაგები და სხვ., რომლებიც მიღებულია ცალკე კავკასიის არმიისაგან და საბჭოთა დაწესებულებებისაგან, ღირს არა ნაკლები 200,000 მანეთისა ოქროთი. ამ რიგათ ზემო-ავჭალის სადგურისათვის ჯერ-ჯერობით დახარჯულია არა ნაკლები 300 ათ. მანეთისა ოქროთი. თუ გადავიყვანთ ოქროზე ალმასკომის მიერ გადადებულ თანხას, ჩვენ მივიღებთ, რომ ალმასკომის დაველიანება უდრის 93.797 მან. ოქროთი.

1923 წელი ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის მომწყობ კომისიის განზრახვით უნდა დარჩეს გენერალურ მუშაობის წლათ. წინასწარ შედგენილ გეგმის თანახმად მთელი წელი დაყოფილია 4 პერიოდათ, რომელთა განმა ლობაში შესრულებულ უნდა იქნას მუშაობა, უმთავრესათ აღმშენებლობითი, რომელიც დაჯდება 1550 ათასი მან. ოქროთი. 1924 წელი კი გაყოფილ იქნება ორ პერიოდათ: ერთი 1 აპრილამდე, მეორე 1 აგვისტომდე. მეორე პერიოდში განზრახულია მოხდეს ელექტრო-მექანიკური მოწყობის მონტაჟი, დასრულდეს მთელი აღმშენებლობითი მუშაობა, გაყვანილ იქნას შემაერთებელი ხაზები და მოეწყოს ქალაქის ქვე-სადგურები. სადგურის მთელი მუშაობა წინასწარ ხარჯთ-აღრიცხვის თანხმათ დაჯდება დაახლოებით 2,9 მილ. მან. ოქრ. გვაქვს კი (დახარჯულ 300 ათ. მან., „ჩემოს“ 600 ათ. მან. და რუსეთის სესხის 750 ათ. მანეთის ჩათვლით) სულ 1650 მან. ოქრ. ამ რიგათ. საჭიროა კიდევ 1300 მან. ოქრ. ამისათვის ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის მომწყობი კომისია ფიქრობს გამოუშვას 1 მილ. ოქროს მანეთის საობლიგაციო სესხი და გაატაროს 3 ტვირთზიდვის და 2 სამოქალაქო გადასახადის აკრეფა 1923-24 წლ. განმავლობაში.

შემდეგ, გააკეთა რა თეორეტიულ მუშაობის მსვლელობის ვრცელი ისტორიული აღწერა, მომხსენებელი გადავიდა შეკვეთების გაცემის საკითხზე.

9 მარტს შესდგა ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის მომწყობ კომისიის და ალმასკომის პრეზიდიუმის სხდომა. რომელზედაც მოხდა შეკვეთების გაცემა ტეხნიკურ მოწყობილობებზე. დადგენილია პირველ რიგში საჭირო 4 აგრეგატებს შორის 3 შეკვეთილ იქნას საზღვარგარეთ და ერთი მიეცეს რუსეთის ფირმებს.

ყველა შეკვეთები დადებულ უნდა იქნას პეტროგრადის ტრესტის საშუალებით. 4-ეე აგრეგატის შეკვეთა „მაშინოსტროის“ ფასებით დაჯდება 116077 გირვ. სტერლინგი, „ასსეთ“-ს ფასებით კი 133,798 გირ. სტერლინგი სადგურის ნორმალური ძალა განისაზღვრება 18.000 ცხენ. ძალით, გადიდებით 38,000 ცხ. ძალამდე.

მთელი ენერგიის გამოსაყენებლად საჭირო იქნება 7 აგრეგატის დადგმა. საექსპლოატაციო ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად ნაანგარიშევია შემდეგი საერთო შემოსავალი: 24 წ. გაიყიდება 5 მილ. კილოუატსაათი—320 ათ. მან., 25 წ.—13 მილ. კილ.—832 ათ. მან., 26 წ.—15 მილ. კილ.—960 ათ. მან., 27 წ. 16,5 მილ. კილ.—1056 ათ. მან. და 1928 წ. 18 მილ. კილ.—1152 ათ. მან., სულ 4320 ათ. მან. ექსპლოატაციის ყოვილ წლიური გასავალი უდრის 450 ათ. მან., 4 ნახ. წლ. განმავლობაში საერთო გასავალი შეადგენს 2.025 ათ. მან., ამ რიგათ ზემო-ავჭალაში ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის მომწყობი კომისია შესძლებს 5 წლის განმავლობაში გადაიხადოს ყველა ვალები და შემდეგ სადგურის შემოსავალი მოახმაროს ქალაქს.

მოისმინა რა მოხსენება, ალმასკომმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც დადგენილია: 1) აღძრულ იქნას ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა, რათა ქ. თბილისში და მის მაზრაში აკრეფილი ტვირთზიდვის და სამოქალაქო გადასახადი გადაეცეს ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის მომწყობ კომისიას. 2) ეთხოვოს ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს 1 მილ. ოქრ. მანეთის საობლიგაციო სესხის გამოშვების ნებართვა. 3) დამტკიცებულ იქნას მუშაობის გეგმა. 4) დამტკიცებულ იქნას დადგენილება შეკვეთების შესახებ. ალმასკომის დავალიანება კომისიისადმი სწარმოებდეს ოქროს მანეთებში და წინადადება მიეცეს საფინანსო განყოფილებას ყოველთვის თავის დროზე გადასცეს კომისიას კუთვნილი თანხა.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის მე-4-ე რაიკომი

იუწყება, რომ ქალაქის საბჭოს ყველა წევრები, რომლებიც გავიდნენ მე-4-ე რაიონში, შეუძლიანთ მიიღონ საწევრო წიგნაკები 15 მარტიდან 20 მარტამდე ჩათვლით სარაიონო კომიტეტში ამხ. არაქელოვასთან.

პასუხისმგებელ მდივანის მაგიერ **ხაცკევიჩი.**

გორის მაზრა

27 თებერვალს გორში შესდგა სამაზრო პარტიული კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 48 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 12 სათათბირო ხმით. ცეკას სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ივანოვ-კავკასსკიმ. პრეზიდიუმში იქნენ არჩეული: ამხ ივანოვ-კავკასსკი, გიორგაძე, ა. ბუხნიკაშვილი, შოთი, გოგოლაძე, ბარბაქაძე, პისკუნოვი და ქურდაძე; მდივნებათ: კაჭარავა, აბრამაშვილი, უსიაყოფელი. საპატიო თავმჯდომარეებათ იქნენ არჩეულნი: ამხ. ლენინი, სტალინი, ცხაკაია, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, მიასნიკოვი და კაშენი. სამაზკომის მოხსენებაზე იქნა გამოტანილი რეზოლიუცია, რომლითაც სამაზკომის მუშაობა ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად და მის მიერ აღებული ხაზი სწორედ. სამაზრო პროფბიუროს მოხსენება იქნა მიღებული ცნობად. სამაზრო ალმასკომის მოხსენების გამო საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ მიღებულია რეზოლიუცია, რომლითაც მუშაობა სამაზრო ალმასკომისა ჩათვლილია დამაკმაყოფილებლად. სამაზკომში არჩეულ იქნენ: ამხ. გიორგაძე, შოთი, ქურდაძე, ბოკერია, ა. ბუხნიკაშვილი, გოგოლაძე, მამაცაშვილი, კაჭარავა, ფსიტიძე. სარევიზიო კომისიაში: ამხ. ქებაძე, კაპანაძე, სიამაშვილი. დელეგატებათ პარტიულ ყრილობაზე არჩეულ იქნენ: ამხ. კახიანი, ლომინაძე, შოთი, ქურდაძე, გოგოლაძე, ბოკერია, ა. ბუხნიკაშვილი, გიორგაძე, ფსიტიძე. კონფერენციის მიერ მიღებულია ნაკაზი ყრილობის დელეგატთათვის.

ბ.

ახალ-სენაკი

4 მარტს ქ. ახალ-სენაკში გაიხსნა საქ. კომუნისტური პარტიის სენაკის ორგანიზაციის მე-2-ე ლეგალური კონფერენცია. კონფერენციაზე გამოცხადდა 28 დელეგატი გადამწყვეტი ხმით. პრეზიდიუმის საპატიო წევრებათ არჩეულ იქნენ: ლენინი, ტროცკი, ცხაკაია, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი.

კონფერენციას ხსნის სამაზრო პარტკომის პ. მგ. მდივანი ამხ. მაკარი ბედია.

საბჭოთა ფედერაციის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. სამსონ მამულია. მოხსენების გამო გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, სადაც აღინიშნა, რომ პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა საბჭოთა ფედერაციის მტკიცეა და დღითი-დღე მაგრდება; საბჭოთა ხელისუფლებას მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს ქვეყნის ეკონომიურად აღორძინებისაკენ.

მეორე სხდომაზე სწლიურ საანგარიშო მოხსენებას აკეთებს სამაზრო კომიტეტის მუშაობის შესახებ ამხ. მ. ბედია. მოხსენების გარშემო კამათი არ ყოფილა; იყო შეკითხვები, რომლებზედაც გაიცა დამაკმაყოფილებელი პასუხი. მოსმენილ იქნა სარევიზიო კომისიის მოხსენებაც. სამაზრო პარტკომის მთელი წლის მუშაობის შესახებ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომ სამაზრო კომიტეტის მიერ აღებული ხაზი სწორია, ხელმძღვანელობა რაიკომებისა და თემკომების კარგია და საერთოდ მუშაობა ითვლება სავსებით დამაკმაყოფილებლად.

რაიონებსა და თემებში (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ გამონაკლისებს და ისიც ობიექტიურ მიზეზებისა გამო) მუშაობა კარგად მიდის. რაიონთან მიმაგრებული ინსტრუქტორი ხელმძღვანელობს არა მარტო თემკომს, არამედ თითეული კომუჯრედის კრებებს ესწრება და კომუჯრედები მუშაობის საქმეს აყენებს სასურველ დონეზე. უჯრედებს გამოწერილი აქვთ გაზეთები, რომლებითაც სარგებლობენ ის სოფლები, სადაც ესა თუ ის კომუჯრედია.

ავტორიტეტი სოფლის პარტამხანაგებისა უპარტიო მასას შორის სასურველი და კარგია. საერთო მუშაობა კომუჯრედებში კარგია, მხოლოდ ანტი-რელიგიური მუშაობის გაძლიერება დამკვრელ ამოცანად უნდა იქნას ჩათვლილი. თემის კომიტეტის მდივანი ხელმძღვანელობს პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობას თემის მასშტაბით (თემკომის მდივანი სამკითხველოს გამგეცაა), მხოლოდ ამ დარგის მუშაობას აბრკოლებს ის გარემოება, რომ მდივნები არც პარტიის მიერ არიან დაკმაყოფილებულნი ჯამაგირებით და არც პოლიტგანათლების მთავარ მმართველობიდან, რომლის სამუშაოსაც ისინი ასრულებენ. სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის შესახებ მოხსენება შევიდა პ. მგ. მდივნის მოხსენებაში. მუშაობა ამ დარგში კარგად მიდის.

ახალი სამაზრო კომიტეტი არჩეულ იქნა შემდეგი ამხანაგებისაგან: 1) ბედია მაკარი, 2) მამულია სამსონი, 3) ჩაკვეტაძე ივანე, 4) გვილავა ესტატე, 5) გულორდავა ისიდორე, 6) ნოდია ვალოდია, 7) ოჩიგავა ალექსანდრე. კანდიდატებათ: 1) მელიქაძე კაპიტონი, 2) ჯოჯუა ალექსანდრე, 3) მონიავა იაკობი.

სარევიზიო კომისიაში: 1) ნადარეიშვილი ვარლამი, 2) ბართაია იასონი, 3) შალამბერიძე ერმილო.

დელეგატებად საქ. კომუნისტურ პარტიის მე-2-ე ყრილობისათვის არჩეულ იქნენ: 1) ორჯონიკიძე სერგო, 2) მამულია სამსონი, 3) ბედია მაკარი, 4) ჩაკვეტაძე ივანე, 5) გულორდავა ისიდორე, 6) გვილავა ესტატე, 7) ნადარეიშვილი ვარლამი, 8) მელიქაძე კაპიტონი, 9) ჯოჯუა ალექსანდრე, 10) ნოდია კირილე, 11) ცაავა ბიქტორი. კანდიდატებად: 1) თოფურია გრიგოლი, 2) [illegible], 3) ოჩიგავა ალექსანდრე.

ეკონომიური ცხოვრება

ფასების დამწესებელი კომისიის ფასები.

ოქროს 10 მან.—5400 ათ. მ., გირვანქა სტ. ჩეკი—3.515, დოლარები ჩეკი—755. ოსმალ. ქაღ. ლირა—575. საბჭოთა ფულის ნიშნ.—17¼ პროც.

მუშათა მთლიანი კოოპერატივის ფასები.

15 მარტი.

პური თეთრი—15, შავი—ფქვილი ყუბ.—23, შაქრის ფხვნილი—80, მარილი—10—20, ზეთი—60, საპონი მარმარ.—90, ლობიო—13—10-ათ.

ბირჟის საქონლის განყოფილებაში

15 მარტი.

მიწოდება. ქიშმიში ნახიჩევანის, კონსერვები ბოსტ. კრასნოდარის, ტყავეულობა, კამეჩის და ხარის, წუმწუმა რუს. „ირაიდა“, ფქვილი ყუბანის 60 პროც., ლურსმანი 2-5 დიუმიანი.

მოთხოვნილება. სასოფლო მეურნეობის იარაღები, ფქვილი ყუბანის, შაქრის ფხვნილი.

ტფილისის ბაზარზე,

15 მარტი.

ბირჟის საქონლის განყოფილების ცნობების თანახმად პურის პროდუქტების მხრივ განწყობილება სუსტია. შაქრის ფასი უცვლელია. შაქრის ბაზრის განწყობილება მოლოდინში გამოიხატება.

ქრონიკა

შინაგან საქმეთა კომისარიატში.

— **სარაიონო ადმინისტრატიულ ერთეულების შემოღების პროექტი.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა გაუგზავნა მაზრებს სათემო ალმასკომების გაუქმების და სარაიონო ადმინისტრატიულ ერთეულების შემოღების პროექტი განმარტებითი ბარათით. კომისარიატი სთხოვდა მაზრებს გამოეთქვათ თავიანთი აზრი და შეხედულებები. ზოგიერთ მაზრისაგან უკვე მიღებულია პასუხი.

— **ბოროტ-მოქმედებათა რაოდენობა გორის მაზრაში.** შინაგან საქმეთა კომისარიატის მიერ ოფიციალურ ცნობის თანახმად გორის მაზრაში თებერვლის განმავლობაში მოხდა მხოლოდ 4 ბოროტ-მოქმედება. მათში მკვლელობა—1, ქურდობა—3.

ქალაქის ალმასკომში.

— **სამოქალაქო გადასახადი.** ქალაქის ალმასკომის კასაში 10 მარტამდე შემოვიდა 22 მილიარდი, 456 მილ. და 770 000 მან. ე. ი. 110 პრ. მეტი.

— **ოზურგეთის საბავშვო სახლის სასარგებლოდ.** ქალაქის ალმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა გადასდოს 10 მილიონი მანეთი საღამოს მოსაწყობად ოზურგეთის საბავშო სახლის სასარგებლოთ, რომელიც ირიცხება ალმასკომის შეფათ.

— **რძის ნაწარმოები.** ტფილისის ალმასკომის სასურსათო განყოფილებამ მოაწყო რძის ნაწარმოების მიღების საქმე გერმანელების ახალშენიდან (დიუსელდორფი), რომელიც 20-30 პროცენტით უფრო იაფათ გაიყიდება ბაზრის ფასებთან შედარებით. მიმდინარე წელს ახალშენი ქალაქს მიაწოდებს 300 ფუთ შვეიცარულ ყველს და 150 ფ. კარაქს.

საქ. პროფკავშირთა საბჭოში

— **ლენინის სურათის გამოცემა.** საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილების კოლეგიის სხდომამ დაადგინა გამოიცეს ათას-ათასი ცალი სურათი „ლენინი ტრიბუნაზე“ და „წითელ-არმიელი რევოლიუციის სადარაჯოზე“.

— **კლუბის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.** იმავე კოლეგიის სხდომაზე დამტკიცებულ იქნა პროფკავშირთა საბჭოს კლუბის და ცენტრალურ მუშათა კლუბის მარტის და აპრილის ხარჯთ-აღრიცხვები.

— **მუშათა ფაკულტეტების მსმენელთა გაწმენდა.** კულტგანყოფილების კოლეგიამ დაადგინა გააფართოვოს მუშათა ფაკულტეტების პროგრამები და ჩაატაროს მსმენელთა სოციალური გაწმენდა.

ა. ქ. შრომის სახ. კომისარიატში

— **პასუხისმგებელ მუშაკთა ხელფასის ტარიფი.** ა. კ. შრომის სახ. კომ. რწმ. სამმართველოს კოლეგიამ წინადადება მისცა სატარიფო კომისიას, თვალყური ადევნოს რათა პასუხისმგებელ მუშაკთა ხელფასის ტარიფი გატარებული იქნეს ცხოვრებაში კანონიერად.

— **შრომის კანონები.** ამავე კოლეგიამ დაადგინა, (ამხ. ამირ ეს მიენდოს შეადგინოს სია იმ შრომის კანონების, რომელნიც დარჩენ ისევ ძალაში საქართველოში და ამის შესახებ სათანადო დასკვნა წარუდგინოს კოლლეგიას.

— **ცხენების დოღის წასახალისებლად.** კოლეგიამ, სახ. კომისართა საბჭოს მომართვის თანახმად, დაადგინა ცხენების დოღის წასახალისებლად გასათამაშებელ საჩუქრების სასარგებლოდ გადასდოს 60 მან. ოქროთი.

— **პარტიულ მუშების პენსიების შესახებ.** ამავე სხდომაზე კოლლეგიამ დაადგინა პარტიულ მუშა-პენსიონერებს და მათი ოჯახის წევრებს პენსიები მიეცეს მუშათა ტარიფის მე-9 მუხლის ხარისხით.

— **ბათომის დამზღვევ კასის შუამდგომლობა.** კოლეგიამ დაადგინა, ბათომის დამზღვევ კასის შუამდგომლობა მალიარიით დაავადმყოფებულ მუშა-მოსამსახურეებისათვის სურამში 60 ადგილის დათმობის შესახებ, გადაეცეს საქართვ. პროფკავშირთა საბჭოს.

— **უმუშევარ ქალთა სახლის** კოლეგიამ გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა უზენაეს ხელისუფლების წინაშე, რათა უმუშევარ ქალთათვის მოწყობილ იქნას „უმუშევარ ქალთა სახლი“.

სახელმწიფო დახმარება.

— **სოციალურ დახმარების განახლება.** სახელმწიფო დახმარების განყოფილებამ გამოიმუშავა პროექტი სოციალურ დახმარების სახალხო კომისარიატის განახლებისათვის.

— **პენსიების მაგივრად.** ამიერიდან პენსიონერებს პენსიების ნაცვლად მიეცემათ ყოველთვიური დახმარება და მხედველობაში იქნება მიღებული არა სამსახურის სტაჟი, არამედ პენსიონერის ნივთიერი მდგომარეობა.

— **დახმარების მიცემა.** იმ პირთ, ვისაც ჰყავთ შვილები და შეუძლიანთ

უკრაინაში მიღებული ჩემი შთაბეჭდილებანი და ნააზრევი*)

უკან დახევა

ასეთი იყო საქმის ვითარება ჩვენში მაშინ, როდესაც მე 1921 წლის გაზაფხულს ხელში ჩამივარდა მოსკოვის გაზეთის ერთი ნომერი, რომელშიაც მოთავსებული იყო ლენინის მოხსენება რ. კ. პ. მე-10-ე ყრილობაზე ნატურალურ გადასახადის შესახებ, და, შემდეგ, მისი ბროშიურა ამავე საკითხის შესახებ. თითქოს ელვამ გადა[illegible] შავი ღრუბლები და ნათელი შუქი მიაფინა ყოველივე იმას, რაც ჩვენში ხდებოდა. მე ვხედავდი, რომ ლენინმა ჩვენი სენის ღრმა და სწორი დიაგნოზი დასვა, სრულიათ თანახმად ჩემი დაკვირვებისა. მე მზათ ვიყავი [illegible] დამედასტურებინა ყოველივე ის, რასაც ის წერდა. თუ გვიან არ არის, ვამბობდი მე, რევოლუციის გადარჩენა ამ გზას შეუძლია.

როგორ იმოქმედა ლენინის მიერ [illegible]ებულმა ახალ ეკონომიურ პოლიტიკის კურსმა ჩვენ პროვინციალურ ცხოვრებაზე? პირველათ ყოვლისა [illegible] ითქვას, რომ მან თავისი გავლენა დიდის დაგვიანებით გამოიჩინა. [illegible] მივარდნილი ადგილი, თუ მეტი [illegible], ერთი წლით მაინც ჩამორჩენილი [illegible] მოსკოვისაგან, და ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შედეგი მით უფრო [illegible] გახდა აქ საგრძნობი, რომ 1921 წლის ზაფხულზე სამხრეთ-აღმოსავლეთში შიმშილის კატასტროფა [illegible]ვარდა, რომელმაც, ყოველივე [illegible] პოლიტიკის გარეშე, მეტათ გააუარესა [illegible]ნის ეკონომიური მდგომარეობა. [illegible] სწორეთ შიმშილთან ბრძოლის პირობებში მე დავრწმუნდი, თუ როგორ გამომჯობინდა ხალხის მასების, და, განსაკუთრებით, გლეხობის სულიერი განწყობილება, რამდენათ გაუმჯობესდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გავლენით პოდოლიის [illegible] დამოკიდებულება საბჭოთა რესპუბლიკასთან.

1922 წლის თებერვალში მე არჩეული ვიყავი ვოლგის განაპირა ადგილების მშიერ ბავშვთა თავშესაფარების დამხმარე სათემო კომიტეტის თავმჯდომარეთ, რათა დამშეულთა სასარგებლოთ სოფლებში ფართე აგიტაცია გაგვეშალა და რათა ამ აგიტაციას **განსაზღვრული მიმართულება** ქონოდა, მე წინადადება მივეცი კომიტეტს გამოეცა სახალხო საკრებულოებზე, წასაკითხავ გაზეთის სპეციალური ნომერი, (ვინაიდან 50 ვერსის სივრცეზე ჩვენ ვერ ვიპოვეთ საკმაოთ მოწყობილი სტამბა, გაზეთი საწერელ მანქანაზე იყო დაწერილი მცირე რაოდენობით). გაზეთს ფილანტროპიული ხასიათი არ ქონდა. ასურათებდა რა შიმშილობის საშინელებას, გაზეთი მიმართავდა მშრომელ ხალხის კაცთმოყვარულ გრძნობებს კი არა, არამედ უფრო გონივრულათ შეგნებულ მის ინტერესებს. ის მოუთხრობდა თუ რატომ არის უკრაინის მშრომელი მოსახლეობა უაღრესათ დაინტერესებული ვოლგის ადგილების დამშეულთა და, საზოგადოთ, მთელ რუსეთის სოციალისტურ რესპუბლიკის გადარჩენაში. გაზეთი ჩვენი თემის ექვს სოფელში და დაბაში, საქარხნო კრებაზე, თემის ყრილობებზე და სკოლებში იყო წაკითხული. ამ წინასწარ პროპაგანდის შემდეგ ჩვენ შევუდექით შემოწირულებათა კრეფას.

1921 წლის ზაფხულს, როდესაც ჩვენამდე მოაღწია შიმშილობის შესახებ პირველმა ცნობებმა, ადგილობრივი მცხოვრებლები ამ ამბებს მეტათ გულგრილათ დახვდენ. „რა საქმე გვაქვს ვოლგასთან? ჩვენ თვითონ გაპირვებული ვართო“. შემოდგომას, როდესაც ჩვენ მივიღეთ ცნობები, რომ ვოლგის რაიონებში კაცის-ჭამიობა გავრცელდა, ქალაქის მცხოვრებლები პირჯვარის წერით ამბობდენ: „მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ აგვცილდა ეს უბედურებაო!“—და თავის მორიგ საქმეებზე გადადიოდა. ჩვენ, „მშიერ ბავშვის კვირეულის“ ორგანიზატორებს იგივე მცხოვრებლები დაცინვით შეგვენიშნავდნენ: „კეთილი სიტყვით თქვენ გლეხებს ვერაფერს გამოართმევთ, ეს ბავშური თამაშიაო. მხოლოდ სამხედრო ნაწილებს შეუძლიათ გამობერტყონ გლეხების პური დამშეულთა სასარგებლოთო“. მაგრამ ნამდვილათ რა ვნახეთ? მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი ნებაყოფლობით შემოწირულების კრეფა სწარმოებდა სწორეთ მაშინ, როდესაც იკრიფებოდა საზოგადო სამოქალაქო და იძულებითი ოთხ ფუთიანი გადასახადები, კვირეულის განმავლობაში ჩვენს პატარა თემში შევკრიბეთ: 300 ფუთი პური, 2,000 კვერცხი, რამოდენიმე ფუთი შაქარი, 8 ტყავი, 12 წყვილი ახალი ფეხსაცმელი, ჰურჰლეულობა, ძველი ტანსაცმელი და სხვა. როდესაც მე შემომწირველთა ხელმოსაწერ ქაღალდით სახლებში დავდიოდი, ხვრელებში მცხოვრები ღატაკები მეტყოდენ ხოლმე: „გმადლობთ, რომ გვერდი არ აგვიარეთო“.

პატარა თემის მასშტაბით ეს იყო ძალიან დიდი მიღწევა. ეს უკვე იმას მოწმობდა, რომ ყინული დაიძრა, რომ მასების სულიერ განწყობილებაში გარდატეხა დაიწყო. ამას სხვა ფაქტებიც ადასტურებდენ.

ადგილობრივ ალმასკომის ერთი წევრი (უპარტიო), რომელიც მუდამ სოფლად დაიარებოდა და კარგათ იცნობდა გლეხობის სულიერ განწყობილებას, მეუბნებოდა: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ეხლა სოფლებში ფარული ხმის მიცემა რომ გაიმართოს, ჩვენი თემის გლეხობის უმრავლესობა ხმას მისცემს საბჭოთა ხელისუფლებასაო“. სოფლის სულიერ განწყობილების გარდატეხას ის ფაქტიც მჭერმეტყველურათ მოწმობდა, რომ 1922 წელს ქარხნის მიერ გამართული თესვის კამპანიამ ბრწყინვალეთ ჩაიარა. ცხადი იყო, რომ სოფელში ისევ ილვიძებს საბჭოთა ხელისუფლებისა და ბოლშევიკებისადმი ძველი მეგობრული განწყობილება.

როგორ გამოეხმაურა ახალ ეკონომიურ პოლიტიკას ჩვენი რაიონის, ქალაქებისა და დაბების ბურჟუაზიული მოსახლეობა ერთის მხრით, და ქარხნის მუშები—მეორე მხრით?

მეწვრილმანეები, ვაჭრები, სპეკულიანტები და, საერთოთ, მთელი ეს საკმაოთ მილეწილი, მაგრამ მაინც ცოცხალი ბურჟუაზიული საზოგადოება, რასაკვირველია, გამოცოცხლდა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ ახალი კურსის აღებას დღესასწაულობდა. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ ისინი გულწრფელათ შეურიგდენ საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც შეურიგდა მას გლეხობა. ეს ნიშნავდა მხოლოთ იმას, რომ მათ გაუჩნდათ იმედი, კიდევ მეტი-რწმენა დაებადათ, რომ ახლოვდება საბჭოთა ხელისუფლების და კომუნიზმის ნებაყოფლობით და სრული **თვითლიკვიდაცია** და კაპიტალიზმის რესტავრაცია მისი პოლიტიკურ და უფლებრივ ზედნაშენით. მთელი წლის განმავლობაში, 1921 წლის გაზაფხულიდან 1920 წლის გაზაფხულამდე, ჩვენს მაზრაში—ილტუშკოვოში, უშიცკში, ბარსა და ჟმერინკაში მუდამ ერთიმეორეზე უფრო ფანტასტიური ხმები დადიოდენ, რომლებიც დანამდვილებითი ფაქტებათ საღდებოდენ. ამბობდენ თითქოს გადაწყვეტილია შაქრის ყველა ქარხნები ახლო მომავალში გადაეცეს ყოფილ მესაკუთრეებს, რომ ამის შესახებ უკვე მოლაპარაკებაც სწარმოებს, ზოგიერთი ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილია, რომ რკინის გზები უცხოეთის კაპიტალისტებს საკონცესიოთ ეძლევათ, რომ ზოგიერთი რკინის გზა უკვე გაცემულია და სხვა და სხვა.

ყველა ეს ბურჟუაზიული ოცნება გასაგებია. მაგრამ საკვირველათ სჩანდა ის გარემოება, რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის აღიარების შემდეგ ბურჟუაზიულ ხოროდან მოისმოდა ცალკე ხმები საბჭოთა ხელისუფლებასთან სრული შერიგების შესახებ. ყველაზე მდიდარი და საქმიანი კაცი ჩვენს დაბაში, ორი წისქვილის—ორთქლისა და წყლის პატრონი, ჭკუიანი, ენერგიული და გამოცდილი „კულაკი“, გამოაშკარავდა თუ არა მთავრობის ახალი კურსი, უეცრად „წითლად“ გადაიქცა, ყველგან ცდილობს საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულების გამოჩენას, გაუმაძღრათ კითხულობს მოსკოვის გაზეთებს და ყოველ კუთხეში უმტკიცებს მცხოვრებლებს წაკითხულის საკომენტარიოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება დღითი დღე მტკიცდება, რომ მისი დაცემის ყოველგვარი იმედები უაზრობაა და რომ ისინი მის მაგალითს უნდა მიბაძონ—თავი დაანებონ უკანონო სპეკულიაციას და კეთილ სინდისიერათ „იმუშაონ“ საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიურათ აღსადგენათ. რით უნდა ავხსნათ ის, რომ ეს „კულაკი“, რომელსაც ალმასკომი, მის „წითელ“ სიტყვების მიუხედავათ, ყოველ ახალ გადასახადის დროს ორჯერ და სამჯერ მეტს ახდევინებდა, ვიდრე დაბის დანარჩენ ბურჟუაზიას, უეცრად საბჭოთა ხელისუფლებისადმი სიყვარულით განიმსჭვალა? რომ მას ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ საშვალება მისცა აემოძრავა წისქვილები, არ არის საკმაო განმარტება, ამის უფლებას ხომ ყოველი ბურჟუაზიული ხელისუფლება მისცემდა. მიზეზი, უსათუოთ სხვა უნდა იყოს და ადგილობრივ პირობებთან გაცნობილ კაცისთვის ძნელი არ იყო მისი ამოხსნა. რევოლიუციამდე ჩვენი „წითელი მეწისქვილე“ სრულს ეკონომიურ დამოკიდებულებაში იყო შაქრის ქარხანასთან, რომელიც განუყოფლად მეფობდა მთელს ოლქში. რევოლიუციამდე მას წილათ ხვდებოდა მხოლოთ ამ ბუმბერაზის სუფრიდან გადმოვარდნილი ნამცეცები. ეხლა კი ბუმბერაზი უმოქმედოა და როდესაც მეწისქვილემ თავისი წისქვილები აამუშავა, მას გლეხთა სამუშაო ძალის ბაზარზე წინანდელი მეტოქე აღარ ჰყავდა. ეხლა ის, პატარა კაცი, სარგებლობდა მეტის კრედიტით, ვიდრე ოდესღაც მძლავრი და ეხლა კი ღარიბი ქარხნის კანტორა. სჩანს მეწისქვილე დარწმუნებული იყო, თუმცა ის ამას ყოვლგვარ საშვალებით მალავდა, რომ სანამ საბჭოთა ხელისუფლება მაგრათ სდგას, ახალ ეკონომიურ პოლიტიკის, ახლათ, „სერიოზულათ და დიდი ხნით“ აღებულ კურსის პირობებში, კერძო წვრილი მრეწველები განცხრომაში იქნებიან და მსხვილ მრეწველობის ბუმბერაზები კი სამუდამოთ დაბლა დაცემული დარჩებიან. აქედან გამომდინარეობს საბჭოთა რესპუბლიკისადმი მისი სიყვარული! გასაგებია, ამიტომ ის გარემოება, რომ გამოჩნდა თუ არა ჩვენი შაქრის ქარხნის გამოცოცხლების პირველი ნიშნები, გადასწყვიტა თუ არა ქარხანამ საკუთარი საქარხნო წისქვილის ამუშავება და განახორციელა რა თავისი განზრახვა, ჩვენმა „წითელმა მეწისქვილემ“ შეურაცყოფილათ მიიჩნია თავისი უწმინდესი „კომუნისტური“ გრძნობები, განკაში ასტეხა და იმუქრებოდა იმ მოსამსახურის გალახვით, რომელსაც ჩაებარა საქარხნო წისქვილის მართველობა.

იმ დროს, როდესაც ჩვენი ბურჟუაზია ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პერიოდში ტკბილ იმედებისაგან გამოფხიზლებაზე გადადიოდა, ჩვენი საქარხნო მუშები წინააღმდეგ მიმართულების ევოლიუციას განიცდიდენ. დასაწყისში, როდესაც მათ მოულოდნელათ თავს დაეცა ახალი ეკონომიური პოლიტიკა, როდესაც ქარხანა სამეურნეო ანგარიშზე გადასვლისა და ეკონომიის გზას შეუდგა, როდესაც დაიწყო კოლექტიური მომარაგება და სოციალურ უზრუნველყოფის პრინციპი გაუქმდა, როდესაც შრომის დაჯილდოება მისი კვალიფიციურობას და ნაყოფიერებას შეეფარდა და „გაყინული“ ქარხნები შედარებით უფრო ცუდ პირობებში ჩადგენ, ვიდრე მომქმედი ქარხნები, როდესაც დაიწყო შტატების შემცირება და შემოღებულ იქნა ქარხნის პიროვნული მმართველობა და შრომის დისციპლინა, მუშები დაღონდენ და ჩივილი დაიწყეს: „ასეთია, ამხანაგო, საქმე!—მწარე საყვედურით მითხრა ერთმა უპარტიო მუშამ. (ჩვენ ჩამორჩენილ კავშირში ყველა მუშები უპარტიონი იყვნენ). განა ღირს ასეთი შედეგები თქვენი ცხოვრების 30 წლის დაკარგვათ თავისუფლებისათვის ბრძოლაზე“?.

იმავე დროს, საქარხნო კოლეგიის ყოფილი თავმჯდომარე, ეხლა კი ქარხნის გამგე ირონიულათ იცინოდა და კმაყოფილის კილოთი ამბობდა: „ეხლა ჩვენ როლები გადავინაცვლეთ. ჩვენ მუშების ინტერესებს ვიცავთ და კომუნისტებსაც კი მათ ლაგამი ამოუდის.“ ვიმეორებ, ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ იმ ნაწილში, რომელიც უშუალოთ ქარხნებსა და სამეურნეო ანგარიშზე მათი გადაყვანას ეხებოდა, მუშების უმრავლესობის მხრით არა მეგობრული განწყობილება გამოიწვია, თუმცა ამ პოლიტიკის შემოღებამდეც ისინი არ გრძნობდენ თავს ტკბილათ.

მაგრამ თანდათან მათ გაიგეს ახალ ეკონომიურ პოლიტიკის მნიშვნელობა. უკრაინიდან ჩემ გამგზავრებამდე ჩემთან ხშირათ შემოდიოდენ პროფკავშირის მუშაკები და შაქრის მრეწველობის მუშათა რაიკომის რწმუნებულები, რომელთა შორის იყვნენ ჩვენი და მეზობელ ქარხნების ყოფილი მუშები, ისინი საქარხნო კრებებზე უხსნიდენ მუშებს და ყოველ მხრივ აშუქებდენ საქმის ახალ ვითარებას. ციფრების საშუალებით ისინი უჩვენებდენ მუშებს, რომ ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ უკვე ერთი წლის განმავლობაში ხელსახებ ნაყოფი გამოიტანა. ისინი აღნიშნავდენ, მაგალითად, რომ მაშინ, როდესაც შარშანდელ საწარმოვო კამპანიაში თითო ფუთი შაქრის საწარმოვოთ ფუთი და ნახევარი შაქარი იხარჯებოდა, წრეულს წარმოება უდეფიციტოთ ჩატარდა, თუმცა ეს წარმატება ნაყიდი იყო წარმოების შემცირებისა და ხელფასის არა ჩვეულებრივ ეკონომიის ფასით. მაგრამ ქარხნის მდგომარეობის გაუმჯობესობის თანაბრათ, შესაძლებელი იქნება ხელფასის გადიდებაც. როდესაც მუშებმა ყოველივე ეს მოისმინეს, ისინი დაფიქრდნენ, ყურადღებით და ნდობით უსმენდნენ მათ სიტყვებს მით უფრო, რომ ამას ამბობდენ მათივე ძმები, „შაქრის“ მუშები, რომ ეს მუშა-პროფესიონალისტები თუმცა მოითხოვდენ შრომის დისციპლინის აღსადგენათ სასტიკი, მკაცრი ზომების მიღებას და მუშების მხრით მათი ინტერესების დროებით თვით განსაზღვრას,—იმავე დროს თავისუფლათ ეჭირათ თავი ქარხნის ადმინისტრაციასთანაც: ისინი, მართალია, ახლო წარსულ პრაქტიკის საწინააღმდეგოთ, არ ერეოდნენ ადმინისტრაციის წმინდა სამეურნეო განკარგულებებში, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე თვალ-ყურს ადევნებდენ მის მოქმედებას, სასტიკ კონტროლს უწევდენ მას და წინანდელზე უფრო მოხერხებულათ შვრებოდენ ამას, რადგან ისინი გაიზარდენ რევოლიუციის წლების განმავლობაში, რადგან მათ ძველ ადმინისტრატორებზე არა ნაკლებათ ისწავლეს საქარხნო მეურნეობის ეშმაკური მექანიკა ამ ადმინისტრატორებზე უფრო ფართე გონებრივ განვითარების საშუალებით. ამ გვარათ, პროფესიონალურ კავშირის ენერგიულ პროპაგანდის გამო, ჩვენს მუშათა მასსას გაუცოცხლდა იმედი, რომ პროლეტარულ ხელისუფლების საქმე ჯერ მთლათ არ არის წაგებული და შორს არ არის ის დრო, როდესაც მუშათა მძიმე მსხვერპლი ანაზღაურებული იქნება, ჩვენი მუშათა მასსის სულიერ განწყობილების სრულს გარდატეხას უკრაინიდან წასვლამდე მე მაინც ვერ მოვესწარი, ჯერ ერთი იმიტომ, რომ „მეშაქრე“—მუშები პროლეტარულ არმიის განსაკუთრებით უვიერულ და ჩამორჩენილ ნაწილს ეკუთვნოდენ და, მეორეთ, იმიტომ, რომ ჩვენს ქარხანას ბედმა არ გაუღიმა. მიუხედავათ კარგათ ჩატარებულ თესვის კამპანიისა, ის, ცოტაოდენ მერყეობის შემდეგ, ამ წელშიაც უმოქმედო ქარხნების სიაში ჩაირიცხა.

ა. მარტინოვი.

(დასასრული იქნება).

იხ. „კომუნისტი“ №№ 51, 52, 56.

ეროვნული

მუშათა ცხოვრება

საქსოვ, საპნის და ზეთის ქარხნების ტრესტის მუშების საღამო.

ხსენებულ ტრესტის კომიჩეიკამ მიმდინარე წლის 13 მარტს მოაწყო საღამო-ვახშამი, რომელზედაც მოწვეულ იყვნენ ხსენებული აღნიშნული ტრესტის უპარტიო მუშები და პირველ ქართულ ცხენოსანთა პოლკის წითელ არმიელები. გარდა ამისა ვახშამზე მოწვეული იყო სახელმწიფო საოპერო სიმფონიური ორკესტრი. საღამოზე სიტყვა წარმოსთქვა რუსულ ენაზე პარტიის თბილისის ორგანიზაციის და მესამე რაიონის იაჩეიკის სახელით ამხ. ვართაპეტიანმა, რომელმაც მკაფიოდ გააშუქა რუსეთის რევოლიუციის 6 წლის თავის მნიშვნელობა და კომპარტიის გმირული მუშაობა მთელ 25 წლის განმავლობაში.

ორატორი მსმენელების მიერ დაჯილდოებული იქნა ტაშით, რომელსაც მუსიკა ართავს ინტერნაციონალის ტკბილ ჰანგებს. ამხ. ვართაპეტიანის სიტყვა იქნა გადათარგმნილი სამ ადგილობრივი ენაზე პარტიული ამხანაგების მიერ. აღნიშნულ ამხანაგებსაც კრება უმართავს დიდს ოვაციას და მუსიკა ჩვეულებრივად ასრულებს ინტერნაციონალს.

შემდეგ სიტყვა მიეცა უპარტიო ამხანაგს მუშა პეტროსიანს. ზემო ხსენებულ ტრესტის უპარტიო მუშების სახელით ამხ. პეტროსიანი ფიცსა სდებს პარტიული ამხანაგების და წითელ ლაშქრის მეომართა წინაშე, რომ უპარტიო მუშები იქნებიან განუყრელად მათთან (კომპარტიასთან და წითელარმიელებთან), როგორც ერთი ოჯახის შვილნი ჭირშიც და ლხინშიც, ბედის და უბედურების სრული მონაწილენი.

ამხ. პეტროსიანის სიტყვამ გამოიწვია უპარტიო მუშებში დიდი აღფრთოვანება და უპარტიო ამხანაგების მხრივ გაისმა მქუხარე ტაში და ინტერნაციონალის სიმღერა.

საღამო ვახშამი—დასრულდა საღამოს 11 საათზე და ჩვენ, მუშები, დიდად ნასიამოვნები გავეშურეთ ჩვენი ბინებისაკენ.

გაუმარჯოს კომპარტიის 25 წლის გმირულ მუშაობას!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

მუშა გ. მ—შვილი

საიუბილეო საღამო-კონცერტი მელითონეებში

1923 წ. 12 მარტს ლითონის განყოფილების მე-III ავტო-სახელოსნოს კლუბში, კომუნისტ. პარტიის 25 წ. არსებობის და თებერვლის რევოლიუციის 6 წლის თავის აღსანიშნავათ, ლითონის განყოფ. კომ-უჯრედმა ადგილობრივი მუშებისათვის გამართა საღამო-კონცერტი. საღამო გახსნა ამხ. ვედიორკომ მისალმებით. მე-10 რკინ. გზის პოლკმა შეასრულა ინტერნაციონალი. შემდეგ მუშათა ცენტრალურ კლუბის სახალხო საკრავების სტუდიამ ამხ. სოლომონიანცის ხელმძღვანელობით ლითონის კავშირის საბავშო სახლის ბავშთა გუნდთან ერთად შეასრულა ინტერნაციონალი სიმღერით.

ბავშვებმა შეასრულეს საგუნდო სხვა და სხვა სიმღერები, ლექსები დუეტები, ცეკვა და სხვა. შემდეგ ბავშვებს დაურიგდათ ტკბილეულობა და თითო ბულკი.

ამის შემდეგ ამხ. ნოვოსელსკიმ (მე-10 რკინ. გზის პოლკიდან) გააკეთა მოხსენება კომუნისტ. პარტიის 25 წლის ბრძოლის მოღვაწეობის შესახებ მოხსენების შემდეგ ამხ. ვედიორკო მოახსენებს მუშებს პარტიულ ამხანაგების მუშაობას (რევოლიუციონური მოგონებანი), კითხულობს სიას მებრძოლ მუშაკების, პარტიულებისას, ულოცავს მათ გამარჯვებას, სამხედრო მუსიკა მე-10 რკ. გზ. პოლკისა ხელმეორედ ასრულებს ინტერნაციონალს. პოლიტიკურ ნაწილის—გათავებისას იწყება კონცერტი, რომელშიაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს მუშათა ცენტრალურ კლუბის სახალხო საკრავის სტუდიამ ამხ. სოლომონიანცის ხელმძღვანელობით, სტუდიამ მხატვრულად და ლამაზად შეასრულა რამდენიმე ნომრები თვისი რეპერტუარიდან. რიგიანად შეასრულეს სიმღერები ამხ. ბეპლემ, ნაზარიანმა, სტრიუკაიამ, იაშინმა და სხვა.

კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს მუშებზე ამხ. ლ. თამამშევისამ და ნ. ნაზარიანმა. კონცერტში მიიღეს მონაწილეობა მე-10 რკ გზ. პოლკის წითელ არმიელებმა. დასასრულ გაიმართა ცეკვა...

მუშები კმაყოფილნი დაიშალნენ სახლებში საღამოს 10 საათზე. ამხ. მუშები უსურვებენ კულტ. კომისიას მეტს ენერგიას, რათა მან ხშირად მართოს ამ გვარი საღამოები მუშებისათვის.

ინფორმატორი ი. ელიაშვილი.

დიდუბის სანიტარული მდგომარეობა

(პასუხი ამხ. ჯა—ლიძეს).

გაზეთი „კომუნისტის" მიმდინარე წლის მე 40 ე ნომერში მოთავსებული იყო წერილი ამხ. მუშა ჯა-ლიძისა, დიდუბის რაიონის ანტისანიტარიის გამო, რომლის შესახებაც ჩვენ გვსურს რამდენიმე აზრი წარმოვსთქვათ. სრულიად ჭეშმარიტი არის ამ წერილის ის აზრი, რომ დიდუბეში უმთავრესად სცხოვრობენ მუშები და მათი ყოფა-ცხოვრებაზე აუცილებლივ უნდა იყვეს მიქცეული დიდი ყურადღება არა მარტო სანიტარულ კომისიისა, არამედ ყველა დაწესებულებებისაც. მართალია ის, რომ თითქმის ყოველი სახლი დიდუბეში, დიდი ხნის შეუკეთებლობის გამო, იმყოფება მეტად საშიშ მდგომარეობაში და თუ დროზე არ შეკეთდნენ, შესაძლებელია მრავალი მათგანი მთლად დაიქცეს. მართალია აგრეთვე ისიც, რომ კანალიზაცია და წყალსადენიც თითქმის ყველგან დაზიანებული არიან სახლებში და მათი ზოგადი შეკეთება რამდენიმე სახლში იკისრეს თვით მუშებმა თავიანთ ხარჯზე. ყველა ამაზედ, როგორც ვი კით, ამ რამოდენიმე კვირის შემდეგ ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი აუცილებლად აპირებს ყურადღების მიქცევას, და ბინების შეკეთება-გაუმჯობესობის საკითხი არის ახლა დასმული მორიგ საკითხად.

არაა მართალი მხოლოდ ერთი ადგილი წერილისა. ეს ადგილი გახლავთ ის, რომ ვითომ მცხოვრებნი დიდუბისა, მომეტებული ნაწილი მუშებისა, იმყოფებიან ნაგვიან და სიბინძურე—წვირით სავსე ეზოებში, და ეს ნაგავი სიბინძურე ვითომ დიდი ხნის დაგროვილია. ჩვენ ვერ წარმოვიდგინეთ ეს გარემოება და განვცვიფრდით, და რადგანაც ღრმად დარწმუნებული ვიყავით, რომ ის არ შეეფერებოდა სინამდვილეს, იმავე დღეს ადგილობრივ მილიციის წარმომადგენლის თანხლებით და დიდუბის მუშების მიერ კარგათ ცნობილის ამხანაგ იოსებ რცხილაძის დასწრებით დავათვალიერეთ ასზე მეტი ეზო, მაგრამ არც ერთ ეზოში ვერ აღმოვაჩინეთ დაგროვილი ნაგავი, პირ-იქით, სახურავ გაჟანგებულ და კედლებ შეულებავ და მრავალ ადგილას ჩამონგრეულ სახლების ეზოები ყოველგან სუფთად დაგვიხვდა და თითქმის ყოველ ეზოში ვნახეთ ცარიელი ნაგვის ყუთი.

მართალია, დიდუბის ეზოები მოუკირწყლავი არიან თითქმის ყველანი, მაგრამ შედარებით სხვა მოკირწყლულ ეზოებიან რაიონებთან, უფრო სუფთად აღმოჩნდნენ.

შესაძლებელია გამოგვრჩა ჩვენ რომელიმე ეზო მართლაც უსუფთაო, მაგრამ იმედია ამხ. მუშა ჯა—ლიძე მოგვაწვდის ჩვენ პირადათ მათ მისამართს და თუ კეთილ ინებებს ჩვენთან ერთად მიიღებს მონაწილეობას მათ დათვალიერება—გასუფთავებაში, რითაც ჩვენ ნამდვილად ავიცდენთ თავიდან საშიშ მდგომარეობას ეპიდემიის სახით.

მე 10 და მე 12 უბნების სანიტარული ექიმი **მ. ვეფხვაძე.**

სამუშაო დღის განსაზღვრა სხვა და სხვა გვარ დარგის მომუშავეთათვის ა. კ. რკ. გზებზე.

ა. კ. რკ. გზებზე გამოქვეყნებულია ბრძანება სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ, რომლის თანახმად სამუშაო დღე განიყოფება ოთხ ჯგუფად!

1. 8 საათის სამუშაო დღე.

ამ ჯგუფში შედიან ფიზიკური შრომისა და მასთან დაახლოვებული შერეული შრომის მუშა-მოსამსახურენი, აგრეთვე კანტორის გონებრივად მომუშავენი, რომელთა სამუშაოს უშუალო კავშირი აქვს ფიზიკურ მომუშავეებთან.

2. 6 საათის სამუშაო დღე.

ამ კატეგორიას ეკუთვნიან;

ა) გონებრივად მომუშავენი;

ბ) ტრანსპორტზე მომუშავენი 16—18 წ. ჰასაკისა.

გ) პირველი ჯგუფის ის პირები, რომელნიც მუშაობენ ჯანმრთელობისათვის მეტად საზიანო პირობებში.

3. 4 საათის სამუშაო დღე.

ამ ჯგუფში ირიცხებიან:

ა) ტრანსპორტის მუშაკნი 14—16 წ. ჰასაკისა.

ბ) წყალში ჩამყურყუმავებელნი (ВОДОЛАЗЫ).

4. განუსაზღვრელი სამუშაო დღე.

ამ ჯგუფს ეკუთვნიან:

ა) მუშა-მოსამსახურენი, რომელთა მუშაობის ხასიათი მოითხოვს განსაზღვრულ სამუშაო დღის ფარგლებიდან გამოსვლას,

ბ) ის მუშები და მოსამსახურეები, რომელთა სამუშაო დღე გაუწყვეტელ შრომას შეიცავს, რის გამო მიუცილებელი ხდება ეს მუშაობა მიმდინარეობდეს დაწესებულ დასვენების დღეების ანგარიშ განუწევლათ (მაგ.—ლიანდაგის და შპალების გამოცვლა რკინის გზაზე და სხვა).

რკინისგზელი.

ბანძა (სენაკის მაზრა)

პირველ მარტს მოწვეულ იქნა საერთო მიტინგი, რომელსაც დაესწრო დიდ-ძალი მშრომელი გლეხ-კაცობა.

მიტინგის საგანს შეადგენდა რელიგიის გაშუქება. საერთო მიტინგს ხსნის ბანძის თემის პარტკომის პას. მგ. მდივანი ლ. მაისაია, რომელმაც გააცნო დამსწრეთ მოწვევის მიზანი რელიგიის შესახებ. ვრცლათ ილაპარიკა პარტკომის რაი-ინსტრუქტორმა ი. ბართაიამ. რომელმაც აღნიშნა რელიგიის წარმოშობა და მისი განვითარება.

მომხსენებელმა ფარდა ახადა იმ გაიძვერა მღვდელ-დიაკვნების მოქმედებას, რომელიც მიმართული იყო ხალხის გონებრივ დაჩლუნგებისაკენ. მომხსენებელმა აღიარა რელიგიის სრული გახრწნა-გაკოტრება, რომელმაც ხალხის ფართე მასაში დიდი ხანია დაჰკარგა ნიადაგი. ს. ა. კ. კ. რაი-ინსტრუქტორმა ამხ. ი. გაბუნიამ მოკლეთ აღნიშნა რელიგიის სრული უსაფუძვლობა, მიუთითა იმაზე, რომ ის ძირშივე კლავდა ყოველივე იმას, რაც მშრომელი ხალხის თვითმოქმედების და თვით-განვითარებას ხელს უწყობდა. ხალხი თვითეულ მომხსენებელს ტაშით აჯილდოვებდა. ხშირათ ისმოდა ხალხში ხმა. „ძირს ანაფორიანი ხალხი", „ძირს ცრუ-მორწმუნეობა", „ძირს მუქთა ხორა მღვდლები" და სხვა. მიტინგის დამთავრების შემდეგ კავშირის წევრები უფროს ამხანაგ კომუნისტებთან ერთად წითელი დროშებით და ინტერნაციონალის სიმღერით გაეშურეთ ეკლესიისაკენ სადაც დიდ-ძალ-ხალხს მოეყარა თავი. ამ დღეს მოხდა ეკლესიების აღწერა. გამოქონდათ ხატები მინდვრათ და ეკითხებოდენ იქ დამსწრეთ, სად არის ის განსაკუთრებული ძალა, რომლის შესახებ ასე გვატყუებდენ ეს პარაზიტი სასულიერო მამები. ამ დღეს მთელი მშრომელი ხალხი დარწმუნდა მათ სრულ უძლურებაში.

კირილე პატარაია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— შაბათს, 17 მარტს საღამოს 6 საათზე ცენტრალურ პარტიულ სკოლის შენობაში შესდგება სტუდენტთა წრის კრება. ხელმძღვანელი ამხ. ნოვიკოვი.

— შაბათს, 17 მარტს, საღამოს 5 საათზე შესდგება ტფილისის კომიტეტის ბინაზე ტფილისის მაზრის საგანგებო დანიშნულების ნაწილის წრის კრება, ხელმძღვანელი გალკინი.

— შაბათს, 17 მარტს, საღამოს 6 საათზე მბეჭდავთა წრის კრება. ხელმძღვანელი ამხ. მედვედევი.

— საქართველოს კომუნისტურ პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2-რე რაიკომი წინადადებას აძლევს პარტიის ყველა წევრებს და კანდიდატებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ მიუღიათ ახალი პარტიული ბილეთები, გამოცხადდენ რაიკომში ცნობების მოსაწოდებლათ და პარტიულ ბილეთების მისაღებათ შემდეგ ვადებში: პარასკევს—16 მარტს, შაბათს—17 მარტს და კვირას—18 მარტს. დღის 12-დან—3 საათამდე და საღამოს 6-დან—9 საათამდე. გამოცხადება ევალებათ პარტიის ყველა წევრებს და კანდიდატებს, რომლებსაც სრულებით არ მიუღიათ პარტიული ბილეთები და აგრეთვე პარტიის იმ წევრთ, რომლებიც მიღებული აქვთ დროებითი საწევრო ბილეთები. ყველა ის წევრები, რომლებიც არ გამოცხადდებიან ზემოხსენებულ ვადებში, იძულებული იქნებიან იზრუნონ პარტიულ ბილეთების მისაღებათ უმაღლეს პარტორგანიზაციების საშუალებით.

საორგანიზაციო განყოფილების გამგე
აკოპოვი.

სააღრიცხვო ნაწილის გამგე
კორეივო.

განცხადებები

სახელმწიფო
ოპერა
კრ. 258—1—1

დღეს, 16 მარტს. ბენეფისი
ტ. ვ. ზოკოვასი
დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

ალმასკომის გადასახადთა ბიურო
ამით აცხადებს, რომ სამშაბათს, 20 მარტს, შუადღის 12 საათზე,
დანიშნულია
ზეპირი
საჯარო ვაჭრობა
ქვემოთ ჩამოთვლილ ქალაქის სასწორებზე:
1) თათრის მოედნის; 2) დესიმონოვის მოედნის; 3) მუხრანის ბაზრის; 4) ნუნუფაროვის ბაზრის.

ყოველივე პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში.

კრ. 255—5—2 გადასახადის ბიურო

ამიერ-კავკასიის
სასურსათო სახალხო კომისარიატის
საქართველოს
რწმუნებულის სამმართველო

16 მარტს, პარასკევს დღის 11 საათზე სამხედრო წის. ქვილში (პეტრე-პავლეს ქუჩა № 18) და სასურსათო საწყობში (იქვე) ნიშნავს

ზეპირ საჯარო
ვაჭრობას

ქატოს და სხვა ასეთი ნარჩენების გასასყიდად.

დათვალიერება შეიძლება საჯარო ვაჭრობის დღეს.

ასეთივე საჯარო ვაჭრობა მოხდება შაბათს 17 მარტ დღის 11 საათზე, № 2 პურის საცხობში (მუხრანის ხიდთან) № 2 პურის საცხობის მველი ინვენტარის, პურის ნამცეცების ფქვილის ანაცერის, და სუხარის გასასყიდად.

კრ. 253 2—2

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყ. ფილტვების—ჭლექი და გულის—სპეციალური წამ
მალარიისა შეშხაპუნება 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამ
კაბინეთი.
იღებს 9—12 საათ.—დღის და 5—7 ს. საღ.
ბებუთოვის ქუჩა № 23. (264—25—

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდ
ექიმობას საჭიროებენ.
საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმ
ნელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (233—25—1

დავკარგე აზერბეიჯანის მთავრობის მიერ მიხეილ მოს
ულუბაბიანცის სახელზე გაცემული პასპორტ
თვალოს გაუქმებულად. 307—

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 20 მარტს დღის 12 საათზე ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოში (ვოკზალის ქუჩა № 1) დანიშნულია წერილობითი საჯარო ვაჭრობა 1923 წლის 1 აპრილიდან იჯარით გასაცემად:

1 კლასის ბუფეტების—შემდეგ სადგურებზე: ბათომი, სამტრედია, შორაპანი, ხაშური.

მე-3 კლასის ბუფეტების—შემდეგ სადგურებზე: ბათომი, ქობულეთი, სამტრედია, აბაშა, ტყვიბული, ხრესილი, ძირულა, ხეთა, ხაშური, ქარელი, ავჭალა (ბუფეტის კარავი), იორა, ვაზიანი, წნორის-წყალი, თელავი, კარდანახი და ბადიაური.

სავაჭრო კარვები სადგურებზე: სამტრედია №№ 1, 2 და 3, რიონი № 1, მუხიანი, ხრესილი, ძირულა, მარელისი, სურამი, ქარელი, სუმბატოვო, ტფილისი № 1, ნავთლუღი № 2, კახეთის რკინის გზის ნავთლუღი, ათაგლია, მუკუზანი, ციხის-ძირი.

საპირფარეშოები შემდეგ სადგურებზე: ნატანები, სუფსა, აბაშა, ახალ-სენაკი, საჩხერე, ბორჯომი. იმ პირთ, რომლებსაც სურთ მიიღონ მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში, ევალებათ დაბეჭდილ კონვერტში ჩადებული თავისი განცხადებები საბჭოს დარბაზის კარებთან მოთავსებულ ყუთში ჩაუშვან ან ფოსტით დანიშნულ დრომდე გამოგზავნონ. როგორც პირადად მოტანილ, ისე ფოსტით გამოგზავნილ კონვერტებზე, უნდა იყოს წარწერა: „საჯარო ვაჭრობისათვის ბუფეტების, კარვების და საპირფარეშოების იჯარით გასაცემად. განცხადებებში აღნიშნული უნდა იქნას, სახელდობრ, რა სურს გამომგზავნს მიიღოს იჯარად და როგორია მის მიერ წარმოდგენილი წლიური ფასი ოქროს ფულის ანგარიშით.

განცხადებას თან დართული უნდა ჰქონდეს: 1. წარმოდგენილ საიჯარო ფასიდან 10 პროც. ბეს შეტანის კვითარი. რამოდენიმე დაწესებულების საიჯაროთ მიღების მსურველთ მმართებს ზემოაღნიშნულ წესით შემოიტანონ განცხადებები ყოველი ცალკე წარმოებაზე საიჯარო ფასის 10 პროცენტიან ბეს თანდართვით. 2. განცხადებები შემოტანილ უნდა იქნეს საღერბო გადასახადის თანდართვით. იჯარათ გაცემისას სამმართველო, გარდა წარმოდგენილ ფასებისა, იხელმძღვანელებს აგრეთვე რკინის გზის მეურნეობის ინტერესებიდან გამომდინარე სხვა მოსაზრებით. 3. ის პირები, რომლებსაც იჯარათ აქვთ ამ ჟამად ბუფეტები, კარავები და საპირფარეშოები, უკეთუ მათ ამა წლის 1 მარტამდე სავსებით შემოტანილი არა აქვთ საიჯარო გადასახადი, საიჯარო ვაჭრობაზე დაშვებული არ იქნებიან. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10 საათიდან 11 საათამდე, გარდა უქმე დღეებისა, რკინის გზათა სამმართველოში (ტფილისი, ვოკზალის ქუჩა № 1, ოთახი № 64).

256 3—1

ამიერ-კავკასიის რკ. გზის სამმართველოს ჯანმრთელობის განყოფილება

საჯარო ვაჭრობა.

24 მარტს, დღის 12 საათზე, თბილისის რკინის გზის საავადმყოფოს შენობაში (ანდრეევის ქ. № 101)

დანიშნულია

შერეული საჯარო ვაჭრობა

თბილისის რკინის გზის საავადმყოფოსათვის და სად. თბილისის სურსათის დასამზადებელ პუნქტისათვის 1923 წლის 1 სექტემბრამდე დაახლოვებით 3600 მან. (ოქროთ ომამდე არსებულ მანეთით) ღირებულებით 1080 ფუთი ხორცის და 54 ფ. ძონის მიწოდებაზე.

საჯარო ვაჭრობა მოხდება დახურულ კონვერტებში ფასების გამოცხადების გზით. მსურველები დაშვებულნი იქნებიან სიტყვიერ ვაჭრობაზედაც. მაგრამ ის პირები, რომლებიც განცხადებას შემოიტანენ დახურულ კონვერტებში, არავითარ შემთხვევაში არ იქნებიან დაშვებულნი სიტყვიერ ვაჭრობაზე.

სიტყვიერ ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველებმა საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე უნდა შემოიტანონ განცხადება ვაჭრობაზე დაშვების შესახებ და ამავე დროს უნდა წარმოადგინონ გირაო ან დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ დაწესებულ გირაოს შეტანას.

გირაო წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე იჯარის ანუ მიწოდების ღირებულების 10 პროცენტის რაოდენობით (ოქროთი) მომავალ საჯარო ვაჭრობის დღის კურსით.

განცხადებებში ფასები აღნიშნული უნდა იყოს ოქროთი (ომამდე არსებული მანეთით).

კონდიციები და დაწვრილებითი ცნობები საჯარო ვაჭრობის შესახებ მიიღება ყოველ დღე ჯანმრთელობის განყოფილების სამეურნეო ქვე-განყოფილებაში, გარდა კვირა უქმე დღეებისა, დღის 12-დან 2 საათამდე.

განცხადების მიღების უკანასკნელი ვადა გადის 24 მარტს, დღის 12 საათზე.

კრ. 257—2—1

მშობლების რჩენა, ყოველთვიური დახმარება ესპობათ. თებერვალში პენსიონერების გაწმენდის შემდეგ, სოციალური დახმარება მოესპოთ 17 პირს.

სხვა და სხვა.

— **კამერულ მუსიკის საღამო.** განათლების მუშაკთა კავშირის კულტ-განყოფილება აცხადებს, რომ მე-7 რაიადკომი კვირას 18 | 3 საღ. 7 ს. განათლების მუშაკთა სახლში ჰმართავს კამერიულ მუსიკის საღამოს მე 2 სახელმწ. კონსერვატორიის კვარტეტის მონაწილეობით.

ბილეთების მიღება (ფასი 50 ათ. მან.) შეიძლება ყოველდღე „განათლების მუშაკთა სახლში" საღ. 6—9 საათამდე, ან მე 7 რაიადგილკომში, კამოს ქ. ყოფილი დიდი მთავრის № 59).

— **კურსები „აკვანი".** ამა წლის აპრილის შუა რიცხვებში სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის ნებართვით გაიხსნება სამ თვიანი საღამოს კურსები: „აკვანი", რომელზედაც სწავლის საგანს შეადგენს ჩჩვილი ბავშვის მოვლა-აღზრდა. მსმენელებათ მიიღებიან ქალები არა ნაკლებ 16 წლისა, მთლიანი შრომის სკოლის კურს დამთავრებულნი. კურსებზედ წაკითხული იქნება თეორეტიული ლექციები და მოწყობილი პრაქტიკული ვარჯიშობა საგნებში, რომელთაც წაიკითხავენ შემდეგი პირები: 1. პროფ. გოგიტაძე—ბავშვთა სიკვდილიანობის შესახებ. 2. პროფ. ნათიშვილი—ანატომი და ფიზიოლოგია 3. ექ. თოხაძე—რძე და სარძეო სამზარეულო. 4. ექ. უგრელიძე—ისტორია დედათა და ბავშვთა დაცვისა. 5. ექ. ბაქრაძე—ჰიგიენა. 6. ექ. ნანეიშვილი ანატომიური და ფიზიოლოგიური თვისებანი ბავშვის ასაკისა. 7. პროფ. ყლენტი—პატალოგიური ანატომია და ფიზიოლოგიური ბაქტერიოლოგია. 8. პრ თიკანაძე—დედობრივ სასქესო ორგანოების ფიზიოლოგია და ჰიგიენა. 9. ექ. კალანდარიშვილი—ბავშვის ჰიგიენა და მოვლა. 10. ექ. ლორთქიფანიძე—ახალშობილთა სნეულებანი. 11. პროფ. გოგიტიძე—ძუძუ მწოვარ ბავშვთა სნეულებანი. 12. ექ. ბალარჯიშვილი—გადამდები ავადმყოფობანი. 13. პროფ. გოგიტიძე—ბავშვთა საზრდოების და კვების ჰიგიენა. 14. პრ. ასათიანი—ბავშვის სულიერი განვითარება. კურსებზედ ჩარიცხვის შესახებ ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ანასტასია წერეთელთან, არტილერიის ქ. № 5.

— **თამბაქოს მრეწველობა საქართველოში 1922 წ.** საქარ. თამბაქოს ტრესტი დაარსდა 1922 წელს ოქტომბერში, იგი აერთებს 7 თამბაქოს ქარხანას (ყოფილი ბოზარჯიანცის, ენფიაჯიანცის, კომეტის, სეილანოვის, საფაროვის, მირის და ბინიათოღლის) ტრესტის განკარგულებაშია აგრეთვე ერთი კოლოფის ქარხანა.

— **ნაწარმოების რაოდენობა.** აღნიშნულ ტრესტის მიერ 1922 წლის განმავლობაში ტრესტმა დაამზადა შემდეგი თამბაქო—910,043 გირ. 441,644,450 ცალი. ყველაზე უფრო საუკეთესო ქარხანათ ითვლება ბოზარჯიანცის და ენფიაჯიანცის. 1922 წ. დამზადებულ ნაწარმოების რაოდენობა აღემატება 1921 წლისას 76,8 პროცენტით.

— **მეაბრეშუმეთა ყრილობა.** ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მეაბრეშუმეთა ყრილობა გაიხსნება 16 მარტს ყრილობაზე მოწვეულია წარმომადგენლები: რუსეთის, აზერბეიჯანის, სომხეთის, თურქესტანის და სხვა დაინტერესებულ რესპუბლიკების.

— **საგაზაფხულო გამოფენა.** 18 მარტს, ახალგაზრდა კომ. კავშირის კლუბში (ყოფილი სამხედრო ტაძარი) საქ. ხელოვნების მუშაკთა კავშირის მიერ გაიხსნება საგაზაფხულო გამოფენა მხატვრულ ნაწარმოებების. გამოფენა იქნება მრავალფეროვანი.

— **ახალი წიგნები.** იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა საქ. კომპარტიის ცენტ. კომიტეტის შემდეგი წიგნები: 1) ა. ლიგინოვი—მეცნიერება და საღმრთო წერილი, 2) ი. ვარდინი—პოლიტიკური პარტიები და რუსეთის რევოლიუცია. 3) პ. ლაფარგი—კაპიტალის სარწმუნოება. 4) ვ. ლიბკნეხტი-მოგონებანი მარქსის შესახებ 5) კ. ნოვიცკი—როგორ ჩამოაგდეს მეფე 1917 წელს რუსმა მუშებმა და ჯარის კაცებმა. 6) კ. ნოვიცკი—მეფის თვითმპყრობელობიდან—პროლ. დიქტატურამდე.

პროვინციაში

უპარტიო ქალთა კონფერენცია და 8 მარტი შორაპნის მაზრაში

უპარტიო ქალთა კონფერენცია და მასთან შეფარდებით საერთაშორისო ქალთა დღე—8 მარტი შორაპნის მაზრაში მშრომელ ქალებმა დიდი აღფრთოვანებით და ზეიმით ჩაატარეს. წინასწარ დაგზავნილი იყო ქალთა განყოფილების მიერ მოწოდებები მაზრის სხვადასხვა კუთხეებში, ამ დღის ჩასატარებელი წესი და სამაზრო კონფერენციისთვის დელეგატების არჩევნების შესახებ.

ზესტაფონში დილით იკრიბებიან როგორც ადგილობრივი მუშა ქალები, აგრეთვე დელეგატები რაიონებიდან, სამპარტკომის შენობასთან. 3 საათზე დალაგებულნი მწკრივ მწკრივათ ისინი დროშით ხელში მიდიან თეატრის დარბაზისაკენ, სადაც უნდა გაიხსნას მიტინგი. წინ მიუძღვის ორკესტრი, რომელიც უკრავს ინტერნაციონალურ ჰიმნს. კონფერენციას ხსნის ამხ. მ. მიქაძისა, რომელიც მიესალმება კრებას. მისასალმებელი სიტყვით გამოდის ც. კ. ქალთა განყოფილების წარმომადგენელი ამხ. კობახიძე, რომელიც აკეთებს მოკლე მოხსენებას ქალთა მოძრაობაზე წარსულში. სამპარტკომის სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოდის ამხ. აკაკი ქავთარაძე: „საბჭოთა ხელისუფლებამ და მხოლოდ და მხოლოდ მან შესძლო საუკუნოების განმავლობაში დამონებული ქალი გაენთავისუფლებია"-ო, ათავებს ამხ. ქავთარაძე. და შემდეგ აკეთებს მოხსენებას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობაზე აშუქებს ამიერ-კავკასიის მდგომარეობას, როგორც მონარქიულ, ისე მენშევიკურ და ბოლოს საბჭოთა ხელისუფლების დროს, ჩერდება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირზე და მის დადებით შედეგებზე. „გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, მის შტაბს—მესამე ინტერნაციონალს"-ო, ათავებს ამხ. მომხსენებელი. „საერთაშორისო ქალთა მდგომარეობაზე"—მოხსენებას აკეთებს ახალგაზრდათა კომკავშირის წარმომადგენელი—ამხ. ტყემალაძე. ის პოპულიარულათ აშუქებს ქალთა მოძრაობის ისტორიას, ახასიათებს ქალთა მოძრაობის ბელადებს და ბოლოს მოუწოდებს კონფერენციის ფეხზე ადგომით პატივი სცენ ძვირფას ამხანაგის, ტრაღიკულათ დაღუპულ როზა ლიუქსემბურგის ხსოვნას. ორკესტრი უკრავს სამგლოვიარო ჰიმნს.

მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა შესაფერი რეზოლიუციები.

დიდი ზეიმით ჩატართა ეს დღე მაზრის ფარგლებშიც. მიტინგის შემდეგ გამართული იქნა რაიონებში უფასო წარმოდგენები ცოცხალი სურათებით.

ულარიბეს ქალებს მიეცათ დახმარება ფულით და სურსათით.

მთელ მაზრაში მოწყობილ მიტინგებს მშრომელი ქალები ეგებებოდენ დიდი აღფრთოვანებით, რადგან მათ უკვე შეიგნეს თავიანთი მდგომარეობა, მათი აქტუალური როლის საჭიროება და აუცილებლობა. მშრომელი ქალები გრძნობენ და აფასებენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ მინიჭებულ სრულუფლებიანობას და სხვ.

საერთოდ, უპარტიო ქალთა კონფერენცია და 8 მარტის დიადი დღესასწაული ჩატარდა მაზრაში მწყობრათ და ორგანიზაციულათ.

მ. დონდუა

8 მარტის დღესასწაული ბორჯომში

მუშათა რაიონის (ჩარხის-წყლის) მუშა-ქალთა და მუშების მრავალრიცხოვანი კრება გაიმართა ადგ. თეატრში.

ვრცელი მოხსენება ქალთა საერთაშორისო მოძრაობის და 8 მარტის დღესასწაულის შესახებ გააკეთა ეორა ფრანგიშვილმა.

შემდეგ თვით მუშა-ქალებმა, ამხ. ს. იევლევამ, ე. ბერეზოვსკაიამ და ა. იუმატოვამ წარმოსთქვეს მოკლე, მაგრამ საგულისხმო და გრძნობიერი სიტყვები.

მიღებულ იქნა შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია ერთხმათ და აღფრთოვანებით: კრება მხურვალეთ მიესალმება საბჭოთა მთავრობას და კომპარტიას, რომელიც იცავს საერთოდ მუშათა კლასის და მუშა-ქალთა ინტერესებს. აგრეთვე ვუძღვნით მხურვალე სალამს ბურჟუაზიულ ქვეყნებში დაჩაგრულ მუშა-ქალებს. ძირს ბურჟუაზიული მთავრობანი და მუშათა კლასის მოღალატე სოციალ-გამცემელთა პარტიები! სასტიკი პროტესტი იმპერიალისტურ ომის გამომწვევთა წინააღმდეგ! გაუმარჯოს მესამე კომინტერნს! გაუმარჯოს მსოფლიო საბჭოთა მთავრობას! გაუმარჯოს კომუნიზმს!

საღამოს დაიდგა უფასო წარმოდგენა.

ქალაქის „ოქტ. რევ. კლუბ"-ში გაიმართა მრავალფეროვან პროგრამით უფასო მიტინგ-წარმოდგენა.

ფრიად შინაარსიანი მოხსენება თემაზე: „მუშა ქალი ინტერნაციონალში" გააკეთა ამხ. ანდრო სიამაშვილმა მომხსენებელი ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

ამ დღეს გავრცელებულ იქნა სათანადო ბროშურები და მოწოდებანი

ჟან—ჟანი.

ნიგვზიანის თემი (ოზურგეთის მაზრა)

მიმდინარე წლის 1 თებერვლიდგან გაიხსნა ნიგვზიანის თემში (სად. ჯუმათი) ძველად არსებული, მაგრამ შემდეგ დაკეტილი უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველო. გამგეობაში არჩეულ იქნენ: 1. ვ. გოგუა, 2. აპ. მურვანიძე და 3. ვიქ. დობორჯგინიძე. ხსენებულ პირთ დაევალა, როგორც სამკითხველოს ახლათ მოწყობა, ისე ძველი ქონების გამოკვლევა და აღდგენა. პირველი დავალება გამგეობამ კარგათ შეასრულა: სამკითხველოს უკვე მოსდის თბილისიდგან ხუთი ცალი სხვა და სხვა გაზეთი, შეიძინეს აგრეთვე მრავალი წიგნები და ინვენტარი. შესახებ მეორე დავალებისა, რა შედეგს მიაღწია გამგეობამ, ჯერ გამოურკვეველია, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ პირუთვნელათ მიუდგება გამგეობა ამ საკითხს და გამოიყვანს სააშკარაოზე, ვინც არ უნდა იყოს, ხალხის ქონების გამფლანგველს. ამ საქმეში გამგეობას დაეხმარება ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელნი და თემ კომი.

ჯურუველი.

ტირაჟი 10,000 ნ. ს. დ. ც.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა [illegible] ქ. № 1